დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ქალაქ ტყიბულის N7 საჯარო სკოლა

თავმჯდომარე: გელა მაჭარაშვილი-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

- მაია ბაქრაძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
- ფიქრია მუმლაძე- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
- სოფიო ხვადაგიანი -სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
- მარინა თავართქილაძე-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
- მაყვალა გრძელიშვილი-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
- თამარი მურუსიძე-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
- მაკა აფრიამაშვილი-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

- მანანა როსტომაშვილი-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი
- მარიკა ბოცვაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
- მურად ფახურიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი,

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	ს.ს.ი.პ ქალაქ ტყიბულის N7 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	219634705

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ტყიბული
იურიდიული მისამართი	ტყიბულის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ტყიბული, ბრეგვაძის ქ.N14
ფაქტობრივი მისამართი	ტყიბულის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ტყიბული, ბრეგვაძის ქ.N14
საფოსტო ინდექსი	4300
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://shorturl.at/hvxFV

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tkibuli7@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	595410709

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანება M 4 23 0000935052 27/07/2023 წ.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 07 და 08 სექტემბერი.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის,

				ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური I – VI კლასი	ქართული	ტყიბულის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ტყიბული,ბრეგვაძის ქ.N 14
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური VII – IX კლასი	ქართული	ტყიბულის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ტყიბული,ბრეგვაძის ქ.N 14
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური X – XII კლასი	ქართული	ტყიბულის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ტყიბული,ბრეგვაძის ქ.N 14

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ ქალაქ ტყიბულის N7 საჯარო სკოლის შეფასების პროცესში ყველა ექსპერტი აქტიურად იყო ჩართული. დაწესებულებაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. ექსპერტების მიერ სკოლიდან შესაბამის ვადებში გამოვითხოვეთ დამატებითი დოკუმენტაცია, რომლის ნაწილი სკოლამ დროულად მოგვაწოდა, ნაწილი კი ადგილზე ვიზიტისას დაგვახვედრა.
ვიზიტმა ჩაიარა საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებით. დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და გაესაუბრა როგორც ადმინისტრაციულ პერსონალს, ასევე სკოლის მასწავლებლებს. ექსპერტებმა ადგილზე დათვალიერების საფუძველზე

შეისწავლეს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ლაბორატორიები. სკოლის სასწავლო კორპუსები და დამხმარე ინფრასტრუქტურა ახალია და სრულად ადაპტირებული, თუმცა ექსპლოატაციაში ჯერ-ჯერობით არ არის მიღებული.

საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამის მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით, გარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტისა, რომელმაც ვიზიტის პერიოდში განიხილა კურიკულუმები, დაათვალიერა სასწავლო გარემო და გაესაუბრა საგნობრივი კათედრის წევრებს. ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომლებიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში სკოლამ გამოავლინა თანამშრომლობის მაღალი კულტურა. სკოლის პერსონალს გააზრებული აქვს საკუთარი უფლება-მოვალეობანი, იცნობენ განათლების სისტემაში მიმდინარე სიახლეებს და ცდილობენ დანერგონ სასკოლო პრაქტიკაში, სკოლის დირექცია მაქსიმალურად უწყობს ხელს მოსწავლეებს, რომ ფორმალური განათლების პარალელურად მიიღონ არაფორმალური განათლება. სასკოლო საზოგადოება მზადაა განვითარებისათვის, მონიტორინგისა და შეფასებისთვის.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლაში თვალშისაცემია თანამშრომლების მიკუთვნებულობის განცდა საკუთარი სკოლისადმი. ორდღიანმა სამუშაო ვიზიტმა ექსპერტებს დაგვანახა სკოლის პერსონალის კომპეტენცია, თანამშრომლობითი კულტურა და სიახლეებისადმი ღიაობა. სკოლამ, მიუხედავად მის წინაშე, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, მდგარი ინფრასტრუქტურული გამოწვევებისა, შეძლო შეენარჩუნებინა პედაგოგების შემადგენლობა და მოსწავლეთა კონტინგენტი. სკოლას აქვს პროფესიული სწავლებისა და კარიერული დაგეგმვის კარგი პრაქტიკა. ვინაიდან ტყიბული მეშახტეთა ქალაქია, საშუალო საფეხურის მოსწავლეები ეცნობიან მეშახტის პროფესიას, ხორციელდება ვიზიტები ქალაქის მაღაროების სამმართველოში. რეგულარულად იწვევენ სკოლაში სხვადასხვა პროფესიის წარმომადგებლებს. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რომლიც ახორციელებს პროექტს ,,პროფესიული ორიენტაციის პროგრამა". პროექტის ფარგლებში ხორციელდება მოსწავლეების გაცნობითი ხასიათის ვიზიტები უნივერსიტეტში, დაგეგმილია, რომ საბაზო საფეხურის მოსწავლეებს შეასწავლონ თექის დამუშავება და კერვა, თანამედროვე საკერავი ტექნიკის გამოყენებით. მოსწავლეები არჩევითი საგნების ბლოკიდან სწავლობენ საგანს ,,ეკონომიკა და სახელმწიფო". სკოლა ზრუნავს, მოსწავლეებს მიაწოდოს ინფორმაცია სხვადასხვა პროფესიის შესახებ, გაუღვივოს მათი შესწავლის ინტერესი. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლა გეგმავს მოსწავლეებს გააცნოს და შესთავაზოს ადგილობრივ შრომის ბაზარზე რეალიზებადი და მაღალანაზღაურებადი სპეციალობები - ენერგეტიკა, ქვანახშირის თბური დამუშავება და უსაფრთხოების ინჟინერია.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 120 მოსწავლე	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულად შესაბამისად შეაფასა დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
ექსპერტთა ჯგუფმა სრულად შესაბამისად შეაფასა საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
ექსპერტთა ჯგუფმა სრულად შესაბამისად შეაფასა სასუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N		.....

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სასურველია სკოლამ 2024 წლის 30 ივნისამდე უზრუნველყოს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და არსებობის შემთხვევაში გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ დასკვნის მოპოვება ორივე სასწავლო კორპუსისათვის
ინდიკატორი 3,5.1.1	*.სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლ საქმიანობისთვის შესაბამ ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურ მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა დადგენილი მოსწავლეთა ადგილებ ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;*	სასურველია სკოლამ 2024 წლის 30 ივნისამდე მოიპვ დასკვნა სკოლის ახლად აშენებული რეაბილიტირებული სასწავლო კორპუსებისათვ შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახ (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ ასევე შენობების ექსპლუატაციის უსაფრთხოებ შესახებ დასკვნა/ბრძანება. შენობა-ნაგებობის აზომვით ნახაზები; განახლებული ამონაწერი საჯარ რეესტრიდან.
ინდიკატორი 3.5.1.3	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლ ინკლუზიურ გარემოს;	სკოლამ, სხვადასხვა სივრცეებზე შეუზრუდა წვდომის და ლიფტების ექსპლოატაციაში შეყვან მიზნით, სასურველია 2024 წლის 30 ივნისამ მოიპვოს დასკვნა სკოლის ახლად აშენებული

		რეაბილიტირებული სასწავლო კორპუსებისათვ შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახ (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ ასევე შენობების ექსპლუატაციის უსაფრთხოებ შესახებ დასკვნა/ბრძანება. შენობა-ნაგებობის აზომვით ნახაზები; განახლებული ამონაწერი საჯარ რეესტრიდან.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*

ინდიკატორი 3.4.1.1	**სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზეფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;**	სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს შრომითი ხელშეკრულების გაფორმება შრომის უსაფრთხოების სერთიფიცირებულ სპეციალისტთან.
ინდიკატორიN3.5.1.5.	სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრულ საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიან სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილ უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირ რესურსებზე წვდომა).	სკოლას მიეცა რჩევა, სასწრაფოდ მოაწესრიგოს საბუნებისმეტყველო საგნების ლობორატორიისათვის აუცილებელი სივრცე, განათავსოს შესაბამისი რესურსები, შექმნას პირობები საბუნებისმეტყველო საგნების სრულფასოვანი სწავლებისათვის.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
სტანდარტიN4.2.4.1.	სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებით არასავალდებულო ხასიათის მომსახურე (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვის ტრანსპორტირების სერვისი, საერთ საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვ ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლ მხრიდან საქმიანობის განხორციელებ უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთ არსებობის შემთხვევაში);	სკოლას მიეცა რჩევა, მოსწავლეთა კვების ორგანიზების მიზნით მოიძიოს სათანადო მომწოდებელი და შესაბამისი პროცედურების დაცვით უზრუნველყოს სასკოლო ბუფეტისათვის შესაბამისი ფართის გამოყოფა.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	*რჩევა*
ინდიკატორი N....		.....

VII. **წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. **ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე**

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ქალაქ ტყიბულის N7 საჯარო სკოლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფისაგან გაზიარებული იქნა ამავე სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია ავტორიზაციის პროცესში დახარვეზებული ინდიკატორების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის პოზიციას და მიიჩნევს, რომ მათ შესრულებას საფრთხე არ ემუქრება. ინდიკატორები 1.1.1.4; 1.2.1.1; 1.2.1.2; 1.2.1.3; 3.2.1.1; 3.4.1.1; 3.5.1.1; 3.5.1.3; 3.6.1.3; 3.6.3.4; 3.6.3.5; 2.1.1.1 და 2.2.2.5 თავიდან შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შესაბამისობის გეგმის და სათანადო დამამტკიცებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ ეს ინდიკატორები სრულად არის დაკმაყოფილებული, რის გამოც შეიცვალა შეფასება და გახდა „სრულად შესაბამისი“ ხოლო ინდიკატორები 3.4.1.1. და 3.5.1.1 და 3.5.1.3 შეფასდა „მეტწილ შესაბამისად“. ექსპერტთა ჯგუფი თანხმდება იმაზე, რომ „მეტწილი შესაბამისობით“ შეფასებული სამი ინდიკატორის მოთხოვნათა დაკმაყოფილება სკოლას შეუძლია ერთ კალენდარულ წელზე მოკლე ვადაში.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1 . სკოლას აქვს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან შესაბამისი მისია და ხედვა, რომელიც ასახავს სკოლის ძირითად დანიშნულებას. იგი ორიენტირებულია სასკოლო გარემოს ფორმირებასა და განვითარებაზე,
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს; სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და ადგილზე ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში ნამდვილად დაცულია სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული გარემო. სასკოლო პროექტებითა თუ არაფორმალური განათლების სხვადასხვა აქტივობებით სკოლა თემში წარმოადგენს სოციო კულტურულ სივრცეს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
3. სკოლის განმარტებით, 2023-24 სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლას უნდა გადაეხედა მისიისა და ხედვისათვის, შემუშავებასა და დახვეწაში ჩაერთო სასკოლო საზოგადოება, რათა მაქსიმალურად ყოფილიყო გათვალისწინებული სასკოლო და სათემო საჭიროებები, ღირებულებები: განიხილავდა პედ. საბჭო, გააცნობდა მშობლებსა და ყველა დაინტერესებულ პირს. სკოლის მიერ შექმნილია სკოლის ფილოსოფიის განახლების სამუშაო ჯგუფი, რომელშიც ჩართულია საკოლო საზოგადოება. სკოლას აქვს მისიის, ხედვისა და ღირებულებების განახლებული დოკუმენტი, რომლიც შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
4. სკოლის ინფორმაციით, მისიისა და ხედვის დოკუმენტი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, ხდებოდა განხილვები კათედრის სხდომებზე, პედსაბჭოსა და სამეურვეო საბჭოზე. ინტერვიუს დროს დირექცია აღნიშნავდა, რომ მასწავლებლები და სასკოლო საზოგადოება გაეცნო მისიის პროექტს და ზეპირი უკუკავშირებითა და რეკომენდაციებით მიიღეს თანამონაწილეობა მისიის შემუშავების პროცესში, თუმცა გაზიარების დამადასტურებელი მექანიზმის ამსახველი

დოკუმენტაცია სკოლაში არ არის. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და დოკუმენტაცია,რომლითაც დასტურდება, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. . სკოლის მისია და ხედვა საჯაროდაა ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის. გამოკრულია სკოლის ფოიეში, დეკლარირრიებულია სტრატეგიული განვითარების 7 წლიან გეგმაში და 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448 (15/09/2005) - "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია, ხედვა;
- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან.
- სკოლის დირექტორის ბრძანება,(N2-52 15.06.2023 წ.) ფილოსოფიის განახლების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ
- სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდ წლიანი გეგმა
- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი (N2 8.09.2023)

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. სკოლას არ აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია. სკოლამ ადგილზე ვიზიტისას წარმოადგინა, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგის პროექტი რომელიც საკმაოდ მაღალი კვალიფიკაციით არის შემუშავებული. მეთოდოლოგიაში ჩანს, რომ გათვალისწინებულია სასაკოლო საზოგადოების პრიორიტეტები და ინტერესები. იკვეთება, რომ სკოლამ გაიაზრა ავორიზაციის ახალი სტანდარტის პროცესების აუცილებლობა და დაიწყო შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და

დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება, რომ სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას არ აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, წარმოგვიდგინეს პროექტი. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება, რომ სკოლამ შეიმუშავა სტრატეგიული გეგმა, იგი არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლას არ აქვს 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა-პროექტი. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება, რომ სკოლამ შეიმუშავა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, ვადები, პასუხიმგებელი პირები, თუმცა არ ჩანს გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგიის დოკუმენტში იკვეთება, რომ სკოლა ფლობს საჭირო თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, რათა სწორად განახორციელოს სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულებისა და რევიზირების პროცესი. პროექტი. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება, რომ სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
- 2023-2030 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა. პროექტი
- 2023-2024 სასწ. წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა პროექტი
- ზეპირი გასაუბრება
- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
- შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა.
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს. სკოლის მიერ დასახული მიზნების მონიტორინგს ახორციელებს დირექცია. საჭიროების შემთხვევაში, სკოლის დირექტორი განსაზღვრავს

პასუხისმგებელ პირებს კომპეტენციის შესაბამისად. შესაბამისი პასუხისმგებელი პირები შეისწავლიან საკითხს, აკვირდებიან შესრულების ინდიკატორებს და ახდენენ მათ სისტემატურ გადამოწმებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს მონიტორინგის გამოცდილება იქიდან გამომდინარე, რომ სკოლა ამ ეტაპზე ვერ განახორციელებდა 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგს და შედეგები საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის ვერ გახდებოდა ხელმისაწვდომი.

აღნიშნული ინდიკატორი შეფასებას არ ექვემდებარება

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლას ვიზიტის დროს არ წარმოუდგენია რაიმე სახის მტკიცებულება, წინა წლების განმავლობაში სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების შესახებ. ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 7და 8 სექტემბერს. მოცემულ პერიოდში სკოლა ვერ წარმოადგენდა მიმდინარე წლის გეგმის შესრულების ანაგრიშებს, თუმცა მათი თქმით, სასწავლო წლის ბოლოს მოხდება ანგარიშების საჯაროდ განთავსება.

ინდიკატორი შეფასებას არ ექვემდებარება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.საუბრებისას გამოიკვეთა,რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს სკოლა გამოიყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორი შეფასებას არ ექვემდებარება

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი

- სამოქმედო გეგმა
- ზეპირი ინტერვიუ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ ტყიბულის N7 საჯარო სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა მოიცავს: პედაგოგიურ საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, სკოლის დირექციას, მოსწავლეთა თვითმმართველობას და დისციპლინურ კომიტეტს. სკოლაში მოქმედებს საგნობრივი კათედრები, რომლებიც გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. ამასთანავე, ფუნქციონირებს სხვადასხვა კოლეგიალური ორგანო, რომლებიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ საქმიანობას, მაგ.: მრჩეველთა საბჭო, პროფესიული ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი და ა.შ. საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებაში ჩართულია თითოეული სტრუქტურული ორგანო, რომელთა ერთობლივი მუშაობით, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ხდება ზრუნვა და პროცესის წარმართვა შეუფერხებლად. სკოლაში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა არის 32, სკოლას ხელმძღვანელობს დირეტორის მოვალეობის შემსრულებელი, ჰყავს საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი, სკოლის ექთანი, 1 სპეცმასწავლებელი და 1 ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სპეციალისტ-ასისტენტი. სკოლაში დასაქმებულია 24 მასწავლებელი: მათ შორის ორს წამყვანის და 19 უფროსის სტატუსი აქვს მინიჭებული, 2 მასწავლებელი არის უსტატუსო და 1 სპეცმასწავლებელი (უფროსის სტატუსით). სკოლაში დასაქმებულია 2 დარაჯი და 2 დამლაგებელი. პერსონალის უსაფრთხოება უზრუნველყოფილია სკოლის მთლიან ტერიტორიაზე. ამ მიზნით შესაბამისი ბრძანებით გამოყოფილია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში არის ექვსი საგნობრივი კათედრა: თითოეული კათედრა ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში იკრიბება და ირჩევს კათედრის თავმჯდომარეს და მდივანს, შეიმუშავებს კათედრის სამოქმედო გეგმას და განიხილავს სხვა მიმდინარე საკითხებს, რაც დასტურდება სხდომის ოქმებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლაში თანამშრომელთა ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული და ფუნქცია მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს სკოლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის

განხორციელებას. სკოლა ჩართულია USAID-ის პროგრამაში, ლიდერი მასწავლებლის საბაზისო განვითარების პროგრამა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ჩართული პედაგოგები ყოველთვიურად აწყობენ სასწავლო ჯგუფის შეხვედრებს, აცნობენ მათ სიახლეებს, გეგმავენ ერთობლივ გაკვეთილებს, ესწრებიან ერთმანეთს და აანალიზებენ, ახდენენ პრობლემების იდენტიფიცირებას და სახავენ მათი გადაჭრის გზებს. კათედრებზე გადანაწილებულია წევრების ფუნქციები და მოვალეობები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

- ბავშვთა დაცვის (რეფერირებაზე) უფლებამოსილი პირის განსაზღვრის ბრძანება.
- ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
- ჟურნალის მონიტორინგზე უფლებამოსილი პირის შესახებ ბრძანება
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების ჯგუფის დებულება
- სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ ტყიბულის N7 საჯარო სკოლა მცირეკონტიგენტიანია, რის გამოც დირექტორის მ/შემსრულებელს არ ჰყავს მოადგილე. დირექციას წარმოადგენს დირექტორის მ/შემსრულებელი და ბუღალტერი. ადმინისტრაცია შედგება

საქმისმწარმოებლისა და ბიბლიოთეკარისაგან(მატერ.ტექ.უზრ.კოორდინატორი არ ჰყავთ).ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული ჰყავთ სკოლის ექთანი, დამლაგებელი და დარაჯი. ამ პერსონალით და არსებული სტრუქტურული ერთეულების მიერ კანონით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელების საფუძველზე სკოლის დირექცია ახერხებს სკოლის მართვას მოქმედი კანონმდებლობის ნორმათა გათვალისწინებით. სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად; სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები, რომელშიც მკაფიოდაა გაწერილი მათი უფლებები და მოვალეობები. პერსონალის პირადი საქმეები სრულად არის მოწესრიგებული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ შემუშავებელი შინაგანაწესით, დასტურდება, რომ სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა, პანდემიისა და საგანგებო სიტუაციების სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია რისკების შეფასება, რისკის განსაზღვრის პროტოკოლი, პროცედურები და წესები. სკოლაში შექმნილია ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც თვითშეფასება, ურთიერთშეფასების საფუძველზე გამოავლენს პერსონალის საჭიროებებს და კომპეტენტური პირები ეხმარებიან მათ სუსტი მხარეების გაუმჯობესებაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლა პერსონალის შერჩევისას იცავს კანონის მოთხოვნებს. ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში კადრი შეირჩევა კონკურსის წესით. ამის დამადასტურებელია სკოლის ექიმის, სპეციალური მასწავლებლის და დაწყებითი კლასების პედაგოგის შერჩევის ფაქტების შესაბამისი დოკუმენტაცია. სკოლაში კადრების მოზიდვა, მათი დასაქმების ობიექტურობა და დასაქმების პროცედურის გამჭირვალობა უზრუნველყოფილია. ამისთვის სკოლაში არსებობს: თანამშრომელთა შერჩევის წესი, კონკურსის დებულებები, შეფასების კრიტერიუმები, ხელშეკრულების ნიმუშები, დანიშვნის აქტები, პირად საქმეებში წარმოდგენილია კანონმდებლობით გათვალისწინებულ დოკუმენტებთან ერთად, ნასამართლობის შესახებ ცნობები, რომელშიც მითითებულია ინფორმაცია, მათ შორის, მოხსნილი ან/და გაქარწყლებული ნასამართლობის შესახებ, ასევე, წარმოდგენილია 2020 წლის შემდეგ დასაქმებული 3 თანამშრომლის სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები. ჩანს, რომ სკოლა პერსონალის შერჩევისას მოქმედებს კანონმედებლობის შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლას შემუშავებული აქვს თანამშრომელთა და დასასაქმებელ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლაში დასაქმებული ყველა პირი (მათი პირადი საქმეების მონაცემების გათვალისწინებით) კვალიფიცირებული კადრია. სკოლას ჰყავს ერთი უსტატუსო (მოწვეული) მასწავლებელი, რომელთანაც ხელშეკრულება გაფორმდა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აღნიშნული ვაკანსიის სამჯერ გამოცხადების შემდეგ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის ერთიანი და თანმიმდევრული პოლიტიკა. სკოლის ძლიერ მხარეს წარმოადგენს გუნდურობა და თანამშრომლობითი მაღალი კულტურა, მაგალითად, ერთობლივად განხორციელებული

პროექტები. სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, გადაწყვეტილებები მიიღება დემოკრატიული პრინციპების გათვალისწინებით. სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტაცია შემუშავებულია და გაზიარებულია სკოლის პერსონალის მიერ. როგორც სკოლა აღნიშნავს, სწორედ ამ ღირებულების დამსახურებაა ის ფაქტი, რომ აქამდე არ დამდგარა დისციპლინური წარმოების საჭიროება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლის ადმინისტრაცია ხელს უწყობს ყველა თანამშრომლის წარმატებულ მუშაობას. ცდილობს ყველა მათი ნამუშევარი დაფასდეს, აღიარებული იქნას, გაუზიარონ სხვებსაც. სისტემატურად ხდება სკოლის მიერ მოსწავლეების და მასწავლებლების მიღწევების და წარმატებების აღიარება. სკოლა წარმატებულ მოსწავლეებს და მასწავლებლებს აჯილდოებს მადლობის სიგელით/სერტიფიკატებით. სკოლას ჰყავს გასულ წლებში სპორტის სახეობებში გამარჯვებული მასწავლებელი და მოსწავლეები. მასწავლებელთა და მოსწავლეთა წარმატებების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება „etaloni.ge"- ზე. უახლოეს დღეებში გააქტიურდება სკოლის ვებგვერდი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლასა და დასაქმებულ პირებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები.
- სკოლის შინაგანაწესი.
- სკოლის დირექტორის მ/შემსრულებლის ბრძანებები.
- ხარისხის განვითარების ჯგუფის ოქმები.
- სტრუქტურული ერთეულების მიერ ნაწარმოები დოკუმენტაცია.(ოქმები)
- სასკოლო ღონისძიებების ამსახველი ფოტო მასალა.
- სკოლის ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილება და საქმიანობის რეგულაციები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების ჯგუფი, ამ ჯგუფის გეგმა. ასევე, სკოლას აქვს საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრების პრაქტიკა, რის დროსაც გაიცემა რჩევები და რეკომენდაციები სკოლაში გაკვეთილზე დასწრების შედეგად (უმეტესწილად ზეპირი) მიღებული უკუკავშირი, შესაძლებელია განვიხილოთ როგორც პედაგოგების საჭიროებების დადგენის მექანიზმი. დანარჩენი პერსონალის შეფასება-განვითარების პრაქტიკა ან რაიმე საჭიროებათა დადგენის დეკლარირებული მექანიზმი სკოლაში არ არსებობს. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციისას წარმოადგინა დოკუმენტი შესაბამისობის გეგმასთან ერთად

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად. არსებობს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სადაც ერთ-ერთ პუნქტად წარმოდგენილია საჭიროებების იდენტიფიცირებისთვის ღონისძიებების გატარება. სკოლა ცდილობს პედაგოგებმა მიიღონ სრულფასოვანი ინფორმაცია სხვადასხვა ტრენინგის შესახებ. სკოლას 2023/24 სასწ.წლის განმავლობაში დაგეგმილი აქვს ტრენინგები (მათ შორის ფასიანი ტრენინგები, რისთვისაც ბიუჯეტის შესაბამის მუხლში გაწერილია ფინანსური კომპონენტი) კომპიუტერული ტექნოლოგიების ფართო ინტეგრაციისათვის დანარჩენი საგნობრივი მიმართულებებით, ასევე, კომპლექსური დავალებების შემუშავება-დანერგვა-ანალიზის მიმართულებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.პერსონალის კარიერული ზრდისათვის სკოლა ქმნის შესაბამის პირობებს. სკოლა ხელს უწყობს სკოლაში დასაქმებული პირების კარიერულ ზრდას. ახდენს ტრენინგების და სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას, ხელს უწყობს პედაგოგებს გაიარონ ტრენინგები და აიმაღლონ კვალიფიკაცია და სტატუსი. დირექცია უზრუნველყოფს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებული საგნობრივი ტრენინგების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და მონაწილეობის ხელშეწყობას. პერსონალთა პირად საქმეში წარმოდგენილია სერტიფიკატები. ყველა კათედრას აქვს teams-ის პლატფორმაზე შექმნილი ჯგუფი, სადაც გამოვლენილი ხარვეზის აღმოსაფხვრელად იგეგმება აქტივობები და ვებინარები. სკოლის პედაგოგები თუ სხვა პერსონალი აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა პროგრამისა თუ პროექტის ფარგლებში ტრენინგებში, შეხვედრებსა თუ ფოკუს-ჯგუფების სამუშაო პროცესში. აღნიშნული პროცესი სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან წახალისებული და მხარდაჭერილია. სკოლა აღჭურვილია მაღალი ხარისხის კომპიუტერული ტექნიკით, ელექტრონული რესურსი თანაბრად ხელმისაწვდომია სკოლის პერსონალისათვის. სკოლამ საკუთარი ხარჯებით უზრუნველყო ბუღალტრისათვის ფასიანი ტრენინგის ორგანიზება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მიერ შერჩეული პირის ინტეგრაციისთვის იმართება პედაგოგიური თათბირები, წარუდგენენ მიღებულ კადრს, აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, დამკვიდრებულ წესებს, ტრადიციას, მიზნებს, ხედვას, რათა სწრაფად მოხდეს ორგანიზაციის კულტურასთან შეგუება. სკოლაში აქვთ ახალი თანამშრომლის ტრანზიციის კულტურა და პრაქტიკა, არის დოკუმენტირებული

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლა დასაქმებულთა მოტივაციის გაზრდის მიზნით მიმართავს წახალისების სხვადასხვა ღონისძიებას. სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია საპრემიო მუხლი, რომელიც გაიცემა კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად. სკოლა იყენებს როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ ფორმას, დამკვიდრებული წახალისების ფორმებია: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. ყველა ინიციატივა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს სკოლის პერსონალს განვითარდეს, წახალისებულია სკოლის მიერ. წახალისების ფორმები გაწერილია შინაგანაწესში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების შექმნის ბრძანება
- შინაგანაწესი
- ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი;
- ზეპირი ინტერვიუ.
  - თანამშრომლის სოციალიზაციის დოკუმენტი
  - პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ ბრძანება N2-130 19.10.23:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი. ჯგუფს აქვს შესაბამისი დებულება. დებულების თანახმად, საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება ჰოლისტური შეფასების პრინციპებს და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად (დაგეგმე-განახორციელე-დააკვირდი-შეცვალე-განახორციელე-შეაფასე) ხარისხის მართვის ჯგუფი აკვირდება გაკვეთილებს, აფასებს კოლეგებს, იღებს მათგან უკუკავშირს,

კათედრებზე მიმდინარეობს მასწავლებლების ურთიერთდასწრება და კონსტრუქციული უკუკავშირების გაზიარება. სასწავლო პროცესის დაგეგმვის, მონიტორინგისა და სასწავლო გეგმის განვითარების საკითხები იხილება კათედრებისა და პედსაბჭოს სხდომებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის სხვადასხვა დოკუმენტებში: შინაგანაწესში, შრომით ხელშეკრულებებსა და ფუნქციების აღმწერ დოკუმენტში. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი პროცესი, მეთოდოლოგიურად აღწერილია კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის შინაგანაწესის თანახმად მოსწავლეს, მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს და დასაქმებულს უფლება აქვთ, თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ მასწავლებლის და სკოლის უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები, აგრეთვე მიიღონ მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება. ასევე, ყოველწლიურად, დისციპლინური გადაცდომის განხილვის მიზნით, სამეურვეო საბჭოს მიერ ხდება 1 წლის ვადით დისციპლინური კომიტეტის არჩევა, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შესაძლებელია გასაჩივრდეს წერილობითი მიმართვით სამეურვეო საბჭოში, ხოლო კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში - სასამართლოში. თუმცა ამ ეტაპზე აღნიშნული საჩივრები და გადაცდომები სკოლაში არ არსებობს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. . სკოლაში პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. დამრიგებელი მოსწავლეებს აცნობს თავიანთ უფლება-მოვალეობებს. სკოლის დერეფნებში გამოკრულია 112-ის, სახალხო დამცველის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცხელი ხაზის ნომრები. სკოლის მოსწავლეების მშობელს/წარმომადგენელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში ფიქსირებულია მხარეთა უფლებები და ვალდებულებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
- შინაგანაწესი
- ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება.
- ხელშეკრულებები(სკოლასა და მოსწავლის მშობელს/წარმომადგენელს შორის).

- ზეპირი ინტერვიუ

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას გააჩნია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელთა სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავებასთან, ცვლილებებსა და განხორციელებასთან დაკავშირებით ინფორმირების, მათგან უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების ეფექტური მექანიზმები. სკოლაში არის 12 ფინანსური კლასი, რომელსაც ჰყავს დამრიგებლები. ისინი სხვადასხვა გზით ამყარებენ კომუნიკაციას მშობლებთან, მაგალითად, წლის დასაწყისში მშობელთა კრებაზე ხდება სკოლის სასწავლო გეგმისა და შინაგანაწესში შეტანილი ცვლილებების გაცნობა. იღებენ ზეპირ უკუკავშირს. სკოლის ცენტრალურ ფოიეში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საინფორმაციო დაფა, რომლის საშუალებითაც სასკოლო საზოგადოება ეცნობა სიახლეებს. სკოლას აგრეთვე ამ მიზნით აქვს სოცქსელი, ასევე იყენებენ teams-ის საგნობრივ ჯგუფებს, Facebook და Messenger ჯგუფებს. სკოლაში გამოყოფილია მშობლებელთა ვიზიტისთვის დღე (ხუთშაბათი).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში აქტიური ჩართულობა. ფუნქციონირებს პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო. ღონისძიებები ტარდება სასკოლო საზოგადოების მონაწილეობით, თემის ჩართულობით. სკოლაში სასკოლო სასწავლო გეგმის, შინაგანაწესისა და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტების შედგენა ხდება ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე (მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები). კოლეგიალურ ორგანოში გაერთიანებული არიან სასკოლო საზოგადოების წევრები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ მათ საქმიანობაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვებ-გვერდზე მიწერილი წერილი
- დამრიგებლის პორტფოლიო
- თვითმმართველობის დებულება
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები
- პედსაბჭოს ოქმები
- ზეპირი ინტერვიუ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას არ ყავს მანდატური მაგრამ სკოლას მიღებული აქვს ზომები სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირების და პირველადი დახმარების აღმოჩენასთან დაკავშირებით, კერძოდ დამტკიცებულია და მოქმედებს სსიპ ქალაქ ტყიბულის N7 საჯარო სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები,.თუმცა გასათვალისწინებელია,რომ სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით გამოყოფილია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ეს არ არის არსებული კანონმდებლობის შესაბამისი, სერთიფიცირებული პირი/პირები. სკოლაში უზრუნველყოფენ ადამიანების უსაფრთხოებას. ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო; არის ბრძანებით განსაზღვრული, რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი. შემუშავებულია მასწავლებლების მორიგეობის განრიგი. ამასთანავე, შემუშავებულია შინაგანაწესი, კოვიდრეგულაციებისა და საგანგებო სიტუაციების სამოქმედო გეგმა, მშობლებთან კომუნიკაციის დოკუმენტი, სადამრიგებლო პროგრამა. სასწავლო წლის დასაწყისში, სკოლა მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების საშუალებით აწვდის ინფორმაციას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“-ის ცხელი ხაზის, უფლებამოსილი პირის მობილური ტელეფონის, სამსახურებრივი ნომრების და აღნიშნული პირების/უწყებების ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ. აღნიშნული გამოკრულია სკოლის ფოიეებში. ასევე სკოლას დარეგულირებული აქვს მოსწავლეთა დასწრების კონტროლი, კერძოდ, დამრიგებლები პირველივე გაკვეთილზე ახდენენ არმყოფი მოსწავლეების იდენტიფიცირებას, უკავშირდებიან მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს არკვევენ გაცდენის მიზეზს და აღრიცხავენ ჟურნალში. კვირის ბოლოს დირექციის მიერ ეს მონაცემები ფიქსირდება ელექტრონულ ჟურნალში. სკოლის შენობის დაცვას უზრუნველყოფს 2 დარაჯი. დარაჯი ვალდებულია დღის მანძილზე გააკონტროლოს მოსწავლეთა შენობაში შესვლისა და შენობის დატოვების პროცესი. სასწავლო პროცესის დროს უცხო პირების გადაადგილება დაუშვებელია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. შენობაში ნაწილობრივაა დაცული ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესები, კერძოდ შენობაში ყველა სართულზე, კედელზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმა და მასზე მითითებულია საევაკუაციო გასასვლელი. შესაბამისად სკოლას შემუშავებული აქვს მორიგეობის ცხრილი ყველა საევაკუაციო გასასვლელთან. სკოლა თვლის, რომ მორიგე პირის ყოფნა დერეფანში დამატებითი კონტროლის მექანიზმია და აძლიერებს სკოლაში უსაფრთხოებას, სკოლა უზრუნველყოფს პირველადი დახმარების აღმოჩენას. კერძოდ, სკოლას ჰყავს კვალიფიკაციის შესაბამისი ექთანი, შენობაში განთავსებულია სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტები ინახება დაცულ კარადაში შესაბამის პირობებში და მასთან წვდომა აქვს მხოლოდ ექთანს, იგი აწარმოებს სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტების ჟურნალს. სამედიცინო ტახტი ხელოვნური ბარიერის საშუალებით არის გამოყოფილი. აღსანიშნავია, რომ სკოლას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა; დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და არსებობის შემთხვევაში გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ; სკოლას არ აქვს დოკუმენტი, შენობა ნაგებობების მდგრადობის შესახებ. პერიმეტრი და შიდა სივრცეები არ კონტროლდება ვიდეო-სათვალთვალო კამერებით, ეს ყველაფერი ეხება სკოლის

ორივე სასწავლო კორპუსს. აღსანიშნავია,რომ სკოლას დაწყებული აქვს სათანადო პროცედურები (მიმოწერა) შესაბამის ორგანიზაციებთან, სკოლის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების განსახორციელებლად. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ სკოლას დაწყებული აქვს შესაბამისი პროცედურები, რათა მოიპოვოს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და არსებობის შემთხვევაში გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში დამტკიცებულია და მოქმედებს სსიპ ქალაქ ტყიბულის N7 საჯარო სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, შემუშავებული და დამტკიცებულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) წესი და ჰყავს ამ წესის დაცვაზე უფლებამოსილი პირი. სკოლას შემუშავებული აქვს მორიგეობის განრიგი, რომლის მიხედვითაც თითოეულ სართულზე განაწილებული არიან მორიგე მასწავლებლები. ისინი უზრუნველყოფენ მოსწავლეთა უსაფრთხოებას; სკოლას ჰყავს 2 დარაჯი და 1 კარისკაცი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში შემომსვლელ და გამსვლელ პირებზე ყურადღებას. დასვენების პერიოდში მოსწავლეები არ ტოვებენ სკოლის ტერიტორიას და ვერც შემთხვევითი პირები აღმოჩნდებიან აღნიშნულ ადგილას. სკოლას არ ყავს სკოლაში საზოგადოებრივ წესრიგზე და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი, არსებული კანონმდებლობის შესაბამისი, სერთიფიცირებული პირი/პირები. მოსწავლეთა რაოდენობის მნიშვნელოვნად გაზრდის შემთხვევაში იგეგმება მანდატურის სამსახურთან ხელშეკრულების გაფორმება. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტი.რომლითაც დასტურდება,რომ სკოლას ყავს სკოლაში საზოგადოებრივ წესრიგზე და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი, არსებული კანონმდებლობის შესაბამისი, სერთიფიცირებული პირი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სასკოლო პერსონალის ფიზიკურ და ემოციურ უსაფრთხოებაზე ზრუნავენ სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, პედაგოგები, სკოლის სპეციალური მასწავლებელი, რომლებიც განსაკუთრებულ შემთხვევებში მზად არიან სჭირო რჩევებით დაეხმარონ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს. ადმინისტრაცია თანამშრომლობს სკოლის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან, მათ შორის: სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოებთან, საგნობრივ კათედრებთან, მრჩეველთა საბჭოსთან, დისციპლინარულ კომიტეტთან, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან. სკოლაში შექმნილია ნდობაზე დაფუძნებული, გუნდური და მიმღებლობითი გარემო, რაც ხელს უწყობს სკოლის თანამშრომელთა ემოციურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოს შექმნას. ამ მიზნით სკოლაში გასულ წელს განხორციელდა რიგი პროექტისა (მხიარული სტარტები, ნამუშევრების გამოფენა, სკოლის საზეიმო გახსნა).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ექთნის მიერ კონტროლდება შესაბამისი ნორმების დაცვა. მოწესრიგებული და გამართულია სველი წერტილები. სკოლა ორსართულიან შენობაშია განთავსებული. სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი სოციალურად დაუცველი პირების დასაქმების პროგრამით სკოლაში დასაქმებულია დამატებით დამლაგებლად, მეეზოვედ, კარისკაცად და დარაჯად 8 პერსონა, რომლებიც აქტიურ დახმარებას უწევენ სკოლის მუშაკებს როგორც სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების, ასევე მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის საკითხებში. სკოლა უზრუნველყოფს შემუშავებული რეკომენდაციების, სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და სკოლაში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შესახებ მშობლების ინფორმირებას. ვიზიტის დროს მოწესრიგებული იყო შენობაც და ეზოც, სკოლის ყველა სივრცე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას აქვს პერსონალური მონაცემების და ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის მექანიზმი. გამოყოფილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს მატერიალური და ბაზის მონაცემების დაცვას როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური სახით. თანამშრომელთა პერსონალური მონაცემები არის კონფიდენციალური და საჭიროების შემთხვევაში მათი გამოყენება ხდება წესების დაცვით, რაც გამოიხატება მოსწავლეების შემთხვევაში მშობლების თანხმობით, ხოლო მასწავლებლებისა და დირექციის შემთხვევაში მათი თანხმობით. სკოლას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელშიც გაწერილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლა იცავს მის ხელთ არსებულ პერსონალური მონაცემების როგორც ელექტრონულ, ისე ფიზიკურ უსაფრთხოებას, (ელექტრონული მონაცემების ბაზები დაცულია პაროლებით, საკეტიანი კარადები, დაცული ოთახები და სხვა) კონფიდენციალობას როგორც თანამშრომლების, ასევე მოსწავლეების ინტერესებიდან გამომდინარე. სკოლის კომპიუტერებში დაინსტალირებულია ლიცენზირებული, ანტივირუსული პროგრამები. გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს კანონით განსაზღვრულ წესების შესრულებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

7. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასები მარეგულირებელი დამოუკიდებელი დოკუმენტი, თუმცა ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელსაც გასული სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარებული აქვს სხდომები, რომლებშიც არის ანგარიში ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი.
- უფლებამოსილი პირის განსაზღვრის ბრძანება.
- საქმისწარმოების წესი.
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება.
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები.
- ზეპირი ინტერვიუ
- "დანართი 4
- სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის მიწერილობები;
-

სსიპ ქალაქ ტყიბულის N7 საჯარო სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ ტყიბულის N7 საჯარო სკოლა განთავსებულია მისსავე სარგებლობაში მყოფ მიწის ნაკვეთზე. სკოლის სასწავლო კორპუსი აშენდა 2022 წელს. შენობა მაღალი სტანდარტის მქონე ორსართულიან თანამედროვე ტიპის ნაგებობას წარმოადგენს. გარდა ძირითადი სასწავლო კორპუსისა, სკოლას აქვს მეორე, სამსართულიანი შენობა, რომელიც ასევე არის თანამედროვე ტიპის ნაგებობა. ორივე კორპუსის ფასადი და შიდა ინტერიერი კარგ მდგომარეობაშია, გააჩნიათ საკმარისი რაოდენობის საკლასო ოთახები და სასკოლო ინვენტარი, სკოლაში არის დირექციის, მასწავლებლებისთვის, უფლებამოსილი პირისათვის განკუთვნილი სამუშაო სივრცე. ყოველ სართულზე არის სველი წერტილი. ცალკე სივრცეშია განთავსებული ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, ექიმის კაბინეტი განთავსებულია ძირითადი სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე, იგი აღჭურვილია სრულად. აქვთ სველი წერტილი, სამედიცინო კარადა და ტახტი, არის შირმა და მაცივარი; აქვთ რესურსოთახი; ორივე სართულზეა ადაპტირებული სველი წერტილი; შენობებში დამონტაჟებულია 3 ლიფტი, რომლებითაც ექსპლოატაციის ნებართვის არ არსებობის გამო, სკოლის პერსონალი და სსსმ მოსწავლეები არ სარგებლობენ. სკოლა სრულად არის აღჭურვილი კომპიუტერული ტექნიკით, აქვთ საკმარისი რაოდენობის პროექტორები, შეიმჩნევა თვალსაჩინოებათა სიმცირე. სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია. სკოლაში ფუნქციონირებს თანამედროვე სტანდარტების

სპორტული დარბაზი, რომელიც აღჭურვილია სხვადასხვა სპორტული ინვენტარით, სააქტო დარბაზი ყველასთვის არის ხელმისაწვდომი, სადაც ტარდება სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები. სკოლას აქვს გარე სპორტული მოედანი, რომელიც ამჟამად არ ფუნქციონირებს დატბორვის (წყალსაწრეტი სისტემის არარსებობის) გამო. სკოლის შენობის ფართი გონივრულად გამოიყენება სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესისათვის. საკლასო ოთახები აღჭურვილია სათანადო ხარისხისა და რაოდენობის ინვენტარით, მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით. უზრუნველყოფილია დენისა და წყლის უწყვეტი მიწოდებით, საკლასო ოთახებს აქვს ბუნებრივი განათება, დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა, სველი წერტილები განთავსებულია ყველა სართულზე, არის ადაპტირებული საპირფარეშოები. სკოლაში, სპეციალურად გამოყოფილი კომისიის მიერ, ყოველწლიურად ტარდება ფინანსური რესურსების და მატერიალური მარაგების აღწერა. ინვენტარიზაციის შედეგებიდან გამომდინარე დგინდება მატერიალური რესურსების ვარგისიანობა, დგინდება ჩამოსაწერი რესურსების ნუსხა, რომელიც სპეციალური პროცედურების შედეგად ჩამოიწერება. დგინდება გასაუმჯობესებელი რესურსების სია და ხდება მისი განახლება/გაუმჯობესება. სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია მატერიალური რესურსების შეძენა-გაუმჯობესებისათვის საჭირო თანხა. სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კაბინეტი, თუმცა კაბინეტისათვის საჭირო სივრცე გამოყოფილია და ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა კაბინეტის მოწყობა-აღჭურვის სამუშაოები, საუკეთესო ინფრასტრუქტურულ მდგომარეობასთან ერთად აღსანიშნავია, რომ სკოლას არ აქვს ახლად აშენებული და რეაბილიტირებული სასწავლო კორპუსების ასევე დამხმარე ნაგებობების (სპორტული დარბაზი, საქვაბე, წყლის რეზერვუარის შენობა) ექსპლოატაციაში შესვლის დამადასტურებელი დოკუმენტები, განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (სკოლამ წარმოადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერის ძველი 2015 წლის ვერსია) თუმცა სკოლამ ვიზიტის პერიოდში, კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, წამოიწყო შესაბამის უწყებებთან მიმოწერა. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და დოკუმენტები, რომლითაც დასტურდება, რომ მას დაწყებული აქვს შესაბამისი პროცედურები, რათა 2024 წლის 30 ივნისამდე მოიპვოს დასკვნა სკოლის ახლად აშენებული და რეაბილიტირებული სასწავლო კორპუსებისათვის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ); ასევე შენობების ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა/ბრძანება. შენობა-ნაგებობის აზომვითი ნახაზები; განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან .

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის გარე და შიდა საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, სასწავლო დროის ნებისმიერ მონაკვეთში, მოსწავლეებს და მასწავლებლებს შეუძლიათ ისარგებლონ სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიით, (კომპიუტერულ ლაბორატორიაში არის 10 კომპიუტერი). სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა. დაწყებითი კლასების ყველა დამრიგებელს აქვს სამუშაო კომპიუტერები, რომლებიც ჩართულია ინტერნეტქსელში. პედაგოგებს შეუძლიათ გამოიყენონ პროექტორები. სასკოლო საზოგადოება სისტემატურად იყენებს სამასწავლებლოს, სააქტო დარბაზს, კომპიუტერულ

ლაბორატორიას, სპორტულ დარბაზს, ბიბლიოთეკას და მის წიგნად ფონდს. სკოლას აქვს რეკრეაციული სივრცე, ხორციელდება ეზოს გამწვანება. სკოლაში შექმნილია სრულად ინკლუზიური გარემო.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის შიდა და გარე ინფრასტრუქტურა სრულად ადაპტირებულია. სასწავლო შენობას აქვს კეთილმოწყობილი პანდუსი, შენობაში არსებობს თავისუფალი გადაადგილების საშუალება, არის ბევრი თავისუფალი სივრცე, სკოლას ჰყავს 7 სსსმ მოსწავლე, 1 სპეციალური მასწავლებელი, 1 ასისტენტი, აქვს მატერიალური რესურსებით აღჭურვილი რესურს ოთახი. სკოლის პირველი სართული და შესასვლელები ადაპტირებულია (ამ ეტაპზე არ არის ეტლით მოსარგებლე მოსწავლე). აღსანიშნავია,რომ სკოლას აქვს სამი ლიფტი.რომლებიც შენობის ექსპლოატაციაში შესვლისა და მდგრადობის შესაბამისი დოკუმენტაციის მოწესრიგებამდე, არ ფუნქციონირებენ.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და დოკუმენტები, რომლითაც დასტურდება, რომ მას დაწყებული აქვს შესაბამისი პროცედურები, რათა 2024 წლის 30 ივნისამდე მოიპოვოს დასკვნა, სკოლის ახლად აშენებული და რეაბილიტირებული სასწავლო კორპუსებისათვის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ); ასევე შენობების ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა/ბრძანება. ეს ყველაფერი კი, თავის მხრივ უზრუნველყოფს ლიფტების ექსპლოატაციაში შესვლას.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი სააქტო დარბაზი, სადაც იმართება სხვადასხვა ღონისძიება, სკოლის სპორტული დარბაზი მოწესრიგებულია და მიმდინარეობს აქტიური გაკვეთილები, ხშირად იმართება სპორტული შეჯიბრებები და ღონისძიებები. სკოლის ბიბლიოთეკა მზადყოფნაშია სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით მოემსახუროს სკოლის მოსწავლეებს და პედაგოგებს. საკუთარი იდეების, ინიციატივების წარმოდგენისა და რეალიზებისათვის მათ შეუძლიათ ისარგებლონ ნებისმიერი საკლასო ოთახით, სამასწავლებლოთი, ბიბლიოთეკით, კომპიუტერულ ლაბორატორიითა და სკოლის მატერიალური ბაზით. სკოლას აქვს სათანადო რეკრეაციული სივრცე და ეზო.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5.სკოლა უზრუნველყოფს სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია) ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. ბიბლიოთეკას ჰყავს ხელმძღვანელი, კომპიუტერულ ლაბორატორიას ხელმძღვანელობს ისტ-ის მასწავლებელი. საგანმანათლებლო რესურსია ასევე სპორტის, სააქტო და საკონფერენციო დარბაზები, რომელსაც პედაგოგები, მოსწავლეები იყენებენ საჭიროებისამებრ. თითოეული

კათედრის მიერ განხილული, გაანალიზებული, შერჩეულია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული რესურსები კლასებისა და მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად, რომლებიც ჩაშენებულია კურიკულუმებში. სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კაბინეტი, თუმცა კაბინეტისათვის საჭირო სივრცე გამოყოფილია და ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა კაბინეტის მოწყობა-აღჭურვის სამუშაოები, სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისათვის საჭირო რესურსი/ აღჭურვილობა, რომელიც ვიზიტის დროისათვის არ გამოიყენებოდა.

სკოლას მიეცა რჩევა, მოაწესრიგოს საბუნებისმეტყველო საგნების ლობორატორიისათვის აუცილებელი სივრცე, განათავსოს შესაბამისი რესურსები, შექმნას პირობები STEAM საგნების სრულფასოვანი სწავლებისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვიზიტის ფარგლებში რესურსების ადგილზე დათვალიერება
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.
- კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი.

" წერილები რესურსცენტრში, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოშილ. სამხარაულის სახელმწიფო სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას, კერძოდ, სკოლის ყველა ოთახი უზრუნველყოფილია ინტერნეტით, დაწყებითი კლასების დამრიგებლებს აქვს კომპიუტერი (ბუკი). კომპიუტერულ ლაბორატორიაში არის 10 მოქმედი კომპიუტერი და ორი პროექტორი. კომპიუტერები და საბეჭდი მოწყობილობები განთავსებულია აგრეთვე დირექტორის, ბუღალტრისა და საქმისმწარმოებლის ოთახში, რომლებიც ყოველდღიურ გამოყენებაშია. ნებისმიერ პედაგოგს შეუძლია გამოიყენოს ტექნიკა საგაკვეთილო პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობენ როგორც მოსწავლეები, ასევე მასწავლებლები. კომპიუტერები განაწილებულია და სარგებლობს რესურს ოთახი, ბიბლიოთეკა, საქმისმწარმოებელი, დირექტორი, ბუღალტერი. სკოლაში პრეზენტაციებისთის გამოყოფილია საკონფერენციო დარბაზი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვიზუალური დათვალიერება
- სკოლის ციფრული განვითარების გეგმა

კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.სკოლას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომლის შესრულებაზეც პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. საქმისწარმოებისათვის გამოყენებულია დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა. სკოლას აქვს მატერიალურად შესული კორესპოდენციის/განაცხადის ელექტრონულად რეგისტრაციის პრაქტიკა. ასეთი ფორმით შესული დოკუმენტაციის რეგისტრაციის პროცედურები გაწერილია საქმისწარმოების წესში. დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტები აიტვირთება eflow-ში, ასევე, ხდება მისთვის ნომრის მინიჭება და ტარდება ბრძანებების ჟურნალში. ელ.ფოსტებზე შემოსული დოკუმენტაცია (წერილები) გადამისამართდება შესაბამის პირთან. პასუხის მომზადებაც ასევე ელექტრონულად ხდება. სკოლა უზრუნველყოფს ნებისმიერი სახის დოკუმენტაციის სწორად, დროულად მომზადებას, გაფორმებას, აღრიცხვას, გამოყენებას და შენახვას. სკოლის საქმისწარმოება მიმდინარეობს დოკუმენტაციაზე როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური სახით: შემოსული დოკუმენტაცია, გასული დოკუმენტაცია, შიდა დოკუმენტაცია, (ბრძანებები, ახსნა-განმარტებითი ბარათები, სამსახურებრივი ბარათები, შრომითი ხელშეკრულებები). საქმისწარმოების პროცესში გამოყენებული ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი ორი ფორმისაა: ელექტრონული და ქაღალდზე არსებული, ხოლო შემოსული და გასული დოკუმენტაცია, მხოლოდ ელექტრონული.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2.საქმისწარმოების პროცესი ხორციელდებოდა სკოლის ელექტრონული ფოსტის tkibuli7@mes.gov.ge და 7skolatyibuli@gmail.com (შემდგომში - ელექტრონული ფოსტა) გამოყენებით ან მატერიალური ფორმით (მათ შორის, „საქართველოს ფოსტის“ მეშვეობით). ელექტრონულ ფოსტაზე შემოსული დოკუმენტების მიღება ხორციელდება სკოლის საქმისმწარმოებლის მიერ, დოკუმენტების ჩამოტვირთვისა და ელექტრონული დოკუმენტბრუნვის – eflow-ს სისტემაში დარეგისტრირების გზით. ელექტრონულ ფოსტაზე შემოსულ დოკუმენტებთან დაკავშირებით ელექტრონული დოკუმენტბრუნვის - eflow - სისტემაში მომზადებული პასუხები სკოლის საქმისმწარმოებლის მიერ ჩამოიტვირთება და იგზავნება სათანადო ადრესატთან შესაბამის ელექტრონულ ფოსტაზე. საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ ძირეულ საქმიანობას სკოლაში ახორციელებს საქმისმწარმოებელი.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის პროფილში (EMIS) სრულად არის ასახული მონაცემები მოსწავლეთა რაოდენობის, კლასების, მასწავლებლების, პერსონალის თაობაზე, ინფორმაცია არჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოების შესახებ.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს ტყიბულის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს სსიპ-ებთან (ესიდა, ემისი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი), ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიასთან. საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ ინფორმაცია მიწოდებული აქვს საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის და პრემიერ-მინისტრისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- Eflow-სა და mes.gov.ge-ზე ნაწარმოები დოკუმენტაცია/კორესპოდენციები
- Eschool-ის ბაზის ვიზუალური დათვალიერება.
- 10 დეკემბრის ანგარიშები

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებგვერდისა/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებგვერდი/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებგვერდი/ვებგვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს საზოგადოების ინფორმირებისა და მის წინაშე ანგარიშგების მექანიზმი. სკოლის დირექციის, მასწავლებლების, დამრიგებლების მიერ ხდება საზოგადოების ინფორმირება სკოლაში მიმდინარე პროცესებზე, ფორმალური თუ არაფორმალური განათლების ფარგლებში მიმდინარე აქტივობებზე. სკოლას ვიზიტის დღეს არ ქონდა მოქმედი ბლოგი და ვებ გვერდი. სკოლას აქვს საკუთარი სოციალური ქსელი, კერძოდ facebook გვერდი, სადაც შუქდება ინფორმაცია სასკოლო ღონისძიებების შესახებ. სკოლა სასკოლო საზოგადოების, სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმირების მიზნით იყენებს საინფორმაციო დაფებს, რომლებიც განთავსებულია სკოლის ფოიესა და სამასწავლებლოში. ამავე მიზანს ემსახურება დამრიგებლების მიერ სემესტრში ორი სავალდებულო და ასევე საჭიროების შემთხვევაში დაგეგმილი მშობელთა გაერთიანებული სამუშაო შეხვედრები. ვებ გვერდის აქტივაციის მიზნით ვიზიტის პერიოდში, სკოლამ წერილით მიმართა მართვის საინფორმაციო სისტემას. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და მტკიცებულობები,რომლითაც დასტურდება,რომ სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებგვერდისა/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საინფორმაციო დაფა, რომლის საშუალებითაც სასკოლო საზოგადოება ეცნობა სიახლეებს. სკოლას ამ მიზნით ასევე აქვს სოცქსელი, იყენებს teams-ის საგნობრივ ჯგუფებს და საჭიროების შემთხვევაში Facebook და Messenger ჯგუფებს.სკოლაში ხუთშაბათი დადგენილია მშობლებელთა ვიზიტის დღედ. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.სკოლაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საინფორმაციო დაფა საიდანაც სასკოლო საზოგადოება ეცნობა სიახლეებს. სკოლას აგრეთვე ამ მიზნით აქვს სოცქსელი, იყენებს teams-ის საგნობრივ ჯგუფებს და საჭიროების შემთხვევაში Facebook და Messenger ჯგუფებს. სკოლაში ხუთშაბათი გამოყოფილია მშობლებელთა ვიზიტის დღედ.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.სკოლას არა აქვს მოქმედი ვებ გვერდი. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და მტკიცებულობები, რომლითაც დასტურდება, რომ სკოლას აქვს მოქმედი ვებგვერდი/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე,
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
5.სკოლას არა აქვს მოქმედი ვებგვერდი. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და მტკიცებულობები, რომლითაც დასტურდება, რომ სკოლას აქვს ვებგვერდი/ვებგვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული

აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სოციალური ქსელი;
- ზეპირი გასაუბრება

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსი ქმნის საგანმანათლებლო საქმიანობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების მყარ საფუძველს. სკოლის ყველა შემოსავალი და ხარჯი აისახება მის ბიუჯეტში. ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ძირითადად იხარჯება შრომის ანაზღაურებაზე (ხელფასები, თანამდებობრივი სარგო, დანამატები, პრემიები) და კომუნალურ გადასახადებზე. წლების განმავლობაში, ბიუჯეტში გათვალისწინებულია გარკვეული ფინანსური რესურსები საოფისე ხარჯებზე. საჯარო სკოლის დირექტორი თანხებს განკარგავს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის ბიუჯეტის მიხედვით, სკოლა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგების დოკუმენტებს აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს დამოუკიდებელი საბანკო ანგარიში. სკოლის წლიური ბიუჯეტის დამტკიცება ხდება ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის თანახმად, სკოლის დირექტორის მიერ სკოლის წლიური ბიუჯეტი დასამტკიცებლად წარედგინება სამეურვეო საბჭოს. სკოლის ფინანსური რესურსის განკარგვა ხდება სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. წლის ბოლოს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს ფინანსური და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სკოლის 2023 წლის ბიუჯეტი**
- **2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა**
- **დირექტორის ბრძანება ბაზრის კვლევაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.**
- **ზეპირი ინტერვიუ**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ ტყიბულის N7 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს შიდა რეგულაციები, რომლებითაც უზრუნველყოფილია მოსწავლეთა უფლებების დაცვა. მთავარი ასეთი დოკუმენტი არის შინაგანაწესი, რომელიც მიიღება სასკოლო საზოგადოებაში განხილვის და ფართო კონსენსუსის გზით. ამ დოკუმენტში გაწერილია მოსწავლეთა მიმართ სკოლის წარმომადგენელთა მხრიდან შესაძლო ადმინისტრაციული გადაცდომის შემთხვევაში რა სახის პროცედურული წარმოება და სახდელის შეფარდებაა შესაძლებელი. სკოლას დამტკიცებული აქვს მოსწავლის რეფერირების წესი, სადაც ასევე გაწერილია მოსწავლის უფლებები. მოსწავლის ინტერესები. შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა. სკოლას აქვს ადაპტირებული ინფრასტრუქტურა. სკოლაში მოსწავლეს შეუძლია თანაბარ პირობებში, დისკრიმინაციის გარეშე, სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე ისარგებლოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა უფლებით. სკოლის შინაგანაწესი აგრეთვე ითვალისწინებს, რომ მოსწავლის უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს გონივრული, პროპორციული, მინიმალური და უნდა განხორციელდეს მხოლოდ დადგენილი წესის საფუძველზე. სკოლაში არის თვითმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, სამეურვეო საბჭო. სკოლას აქვს შინაგანაწესი. რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.დოკუმენტაცია, რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა უფლებების დამცავი მექანიზმები, შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობით. აღნიშნული მოდელი(დოკუმენტაციის პროექტების ერთობლივი წესით შემუშავება) ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ რეგულაციები იყოს გამჭირვალე, არადისკრიმინაციული და სანდო. მაგალითისათვის, შინაგანაწესის შემუშავება/დამტკიცების პროცესი გამჭირვალეა, მასში ჩართულია სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენელი, ბიბლიოთეკით/კომპ.ლაბორატორიით სარგებლობის წესიც მოსწავლეთა ინტერესის გათვალისწინებით არის შედგენილი, რათა ყველასათვის უზრუნველყოფილი იქნას რესურსების მაქსიმალური ხელმისაწვდომობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც სკოლა იღებს ვალდებულებას მოსწავლისათვის უსაფრთხო და სასწავლო პროცესის ხელშემწყობი გარემოს შექმნისათვის, ხარისხიანი საგანმანათლებლო სერვისის მიწოდებისა და მუდმივად გაუმჯობესებისათვის. ვალდებულებები და უფლებები კონკრეტიზებულია მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა მიმართებითაც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქ.ტყიბულის N7 საჯარო სკოლის შინაგანაწესი
- კომპიუტერული ლაბორატორიით და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
- ხელშეკრულებები(სკოლასა და მშობელს შორის)
- ზეპირი ინტერვიუ

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ ტყიბულის N7 საჯარო სკოლა მცირეკონტიგენტიანია. სკოლას აქვს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის პრაქტიკა. ამ საკითხის რეგულირებისათვის იყენებენ საქართველოს განთლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესს. სკოლას აქვს საკუთარი მარეგულირებელი დოკუმენტი, მოსწავლეთა ჩარიცხვა წარმოებს მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მიერ შემოტანილი სავალდებულო დოკუმენტაციის საფუძველზე. საფეხურის დაძლევა წარმოებს პედსაბჭოს წლიური ანგარიშის (შემაჯამებელი ოქმის) საფუძველზე გამოცემული დირექტორის ინდ.ადმ.სამართლებრივი აქტით, ხოლო მობილობა ხორციელდება მიმღები სკოლის მოთხოვნის საფუძველზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილი ვადების გათვალისწინებით, მართვის საინფორმაციო სისტემაში ატვირთულია ყველა დოკუმენტი, მოსწავლის ჩარიცხვა ხორციელდება შემდეგნაირად: ელექტრონული დოკუმენტბრუნვის Eflow-ს სისტემაში იტვირთება მშობლის განცხადება, რის საფუძველზეც მოთხოვნა იგზავნება შესაბამის სკოლასთან eschool-ის მართვის საინფორმაციო სისტემით, მოთხოვნის დადასტურების შემდეგ მიმღები სკოლა დირექტორის ბრძანების საფუძველზე ჩარიცხავს მოსწავლეს შესაბამის კლასში, ყოველივე ამის ასახვა ხდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში Eschool-ის ბაზაში სკოლას მოწესრიგებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევა, მობილობის, სტატუსის შეჩერება-აღდგენის ფორმალური მხარე. პარალელურ რეჟიმში დავათვალიერეთ მოსწავლეთა პირადი საქმეები, სადაც ასევე მოწესრიგებულია იგივე საკითხები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლის მიერ შეთავაზებული ზოგადსაგანმანათლებლო სერვისის შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. სსიპ ქ.ტყიბულისN7 საჯარო სკოლა საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს სამივე საფეხურზე. ფასიან მომახურებას არ ეწევა (არც ფართები აქვს ამ მიზნით გაიჯარებული). ზემოთ ხსენებული ზოგადსაგანმანათლებლო სერვისის შესახებ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებას და დაინტერესებულ პირებს ინფორმაცია მიეწოდებათ მშობელთა კრების, საინფორმაციო შეხვედრების, სკოლის საინფორმაციო დაფაზე გამოკრული დოკუმენტაციის და სოციალური ქსელის მეშვეობით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლას აქვს საზოგადოების ინფორმირებისა და მის წინაშე ანგარიშგების მექანიზმი. სკოლის დირექცია, მასწავლებლები, დამრიგებლები საზოგადოებას აწვდიან ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე პროცესებზე. ამ მიზნით სკოლა იყენებს საინფორმაციო დაფებს, რომლებიც განთავსებულია სკოლის ფოიეში და სამასწავლებლოში. ამავე მიზანს ემსახურება დამრიგებლების მიერ სემესტრში ორი სავალდებულო და ასევე საჭიროების შემთხვევაში დაგეგმილი მშობელთა გაერთიანებული სამუშაო შეხვედრები. გარდა ამისა, მშობლები ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით იღებენ ინფორმაციას შვილების აკადემიური მოსწრებისა და გაკვეთილებზე დასწრების შესახებ. სკოლაში მიმდინარე პროცესებზე დირექტორის ანგარიში წარედგინება სამეურვეო საბჭოს. ასევე ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ თავსდება სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა პირადი საქმეები
- პედსაბჭოს ოქმები
- დირექტორის მ/შემსრულებლის ბრძანებები
- Eschool-ის ბაზა
- ზეპირი ინტერვიუ(ვიზიტისას)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს მოსწავლეთა ტრანზიციის მექანიზმის დოკუმენტის პროექტი, რომლის დამტკიცებასაც აპირებენ სასწავლო წლის დაწყებამდე. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრული ჰყავთ პირველკლასელთა ტრანზიციაზე პასუხისმგებელი პირი. რადგან სკოლა მცირეკონტიგენტიანია, ტრანზიციას ახდენს კლასის დამრიგებელი (ხელშემწყობ გარემოს ქმნის სკოლის დირექცია).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას. ამ მხრივ მთავარი მექანიზმი არის სადამრიგებლო პროგრამის განხორციელება. ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი (კლასკომპლექტი არ აქვთ). სკოლაში ტრადიციადაა ქცეული სასწავლო წლის ბოლოს მომავალი პირველკლასელების მიწვევა თავიანთი ბაღის მასწავლებლებით სასკოლო გარემოს და მომავალი დამრიგებლის გასაცნობად. ამ ღონისძიებაში ჩართული არიან მშობლებიც და სკოლის დირექციაც. მომავალი დამრიგებელი ბავშვებს ათვალიერებინებს სკოლის შენობებს, უხსნის მათ მიზნობრიობას და აწყობს ინტერაქტიულ გამოკითხვას ბავშვებთან მშობლების ჩართულობით. თუ შემომსვლელთა შორის არის უკვე სსსმ

მოსწავლის სტატუსს მინიჭებული პირი, მისი სამედიცინო დასკვნიდან გამომდინარე სკოლა ემზადება იმისთვის, რომ ასეთ მოსწავლეს შეუქმნას სათანადო პირობები სასწავლო პროცესისა და გარემოს ადაპტაციისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს განემარტებათ თავიანთი უფლებების შესახებ აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიმართულებით. მოსწავლეებს აქვთ ინფორმაცია სემესტრული და წლიური ქულის ამაღლების შესაძლებლობისა და პირობების შესახებ (ასეთი შემთხვევები არ ჰქონიათ). მოსწავლეები სათანადო კონსულტაციას ღებულობენ კომპლექსური და შემაჯამებელი დავალების შესრულებასთან, შეფასების რუბრიკებისა და სქემების თაობაზე. მასწავლებლები მუდმივად ზრუნავენ მოსწავლეების მხარდაჭერასა და მიღწევების გაუმჯობესებაზე. ამ მიზნით სისტემატურად აძლევენ მოსწავლეებს კონსტრუქციულ უკუკავშირს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერების შესახებ მოსწავლეები ინფორმირებულები არიან. სემესტრული/წლიური ქულის გაპროტესტებისა და საგნის დაუძლევლობის შემდეგ საშემოდგომო გამოცდებთან დაკავშირებით მოსწავლეებს უწევენ შესაბამის დახმარებას. მობილობის შემთხვევაში მოსწავლის პირადი საქმე იგზავნება ფოსტით, მოთხოვნის შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. საჯარო სკოლას აქვს პროექტებზე მუშაობის გამოცდილება, რომელიც მოიცავს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. სკოლაში ფუნქციონირებს ინტელექტუალური კლუბი, მკითხველთა კლუბი და სპორტული კლუბი. სკოლის მოსწავლეები ჩართული არიან ტყიბულის მუნიციპალიტეტის განვითარების ინგლისური ენის შესწავლის ხელმისაწვდომობის სასტიპენდიო პროგრამაში. სკოლა აქტიურად უჭერს მხარს კლუბების ფუნქციონირებას. არაფორმალური სწავლების დანერგვის მიმართულებით სკოლას აქვს კარგი გამოცდილება პროფესიულ სწავლების შემოღებასთან და სხვადასხვა უნივერსიტეტთან თანამშრომლობის კუთხით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლაში მასწავლებლებს არ აქვთ პრაქტიკის კვლევის და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საჭიროებების კვლევის გამოცდილება. სკოლას აქვს მზაობა, ჰყავს შესაბამისი კადრები, რომ საჭიროების შემთხვევაში, დაგეგმონ და განახორციელონ პრაქტიკის და საჭიროების კვლევები, მიღებული შედეგები გაითვალისწინონ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსსმ მოსწავლის ადაპტაციის წესი.
- სსიპ ქალაქ ტყიბულის N7საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა
- შინაგანაწესი
- განხორციელებული პროექტები
- თვითმმართველობის დებულება
- სადამრიგებლო პროგრამა

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროფესიული ორიენტაციისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით სკოლა არჩევით საგნად მოსწავლეებს სთავაზობს სასწავლო საგანს ,,ეკონომიკა და სახელმწიფო“. სკოლას აქვს მომავალი სასწავლო წლისთვის გაფორმებული მემორანდუმი აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რომელიც ახორციელებს საინვესტიციო პროექტს ,,პროფესიული ორიენტაციის პროგრამა“ მე-7, მე-8, მე-9 კლასის მოსწავლეებისთვის, კერძოდ, 1. თექის გამოყენება და დამუშავება; 2. ახალი თანამედროვე საკერავი მანქანების გამოყენებით კერვის სწავლება. კლასის დამრიგებლები მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაციას მათთვის საინტერესო პროფესიების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა ზრუნავს, მოსწავლეებს მიაწოდოს ინფორმაცია სხვადასხვა პროფესიის შესახებ, გააცნოს სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, შეახვედროს წარმატებულ სტუდენტებს სხვადასხვა უნივერსიტეტიდან, გაუღვივოს ინტერესი გარკვეული პროფესიების შესახებ. სკოლა აორგანიზებს სასწავლო წლის მიმდინარეობის დროს მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეებისა და სხვადასხვა უნივერსიტეტის წარმომადგენელთა ონლაინ შეხვედრებს. 2023 წლის მაისში მოეწყო შეხვედრა საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან ტყიბულის შახტის ადმინისტაციის მიერ დაგეგმილ სემინარზე, სადაც მოსწავლეებს გააცნეს ისეთი პროფესიები, როგორებიცაა: ენერგეტიკა, ქვანახშირის თბური დამუშავება და უსაფრთხოების ინჟინერია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება, მემორანდუმის მიხედვით, სკოლამ უნდა განახორციელოს მომავალი სასწავლო წლის პირველ ნახევარში. იგეგმება დაკვირვება მოსწავლეების ჩართულობასა და ინტერესზე. შედეგების ანალიზის შემდეგ განსაზღვრულია პროფესიათა უფრო ფართო სპექტრის შეთავაზება, მაგალითად, საბანკო საქმე, უსაფრთხოების სპეციალისტი და სხვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიუ დირექციასთან
- მემორანდუმი უნივერსიტეტთან

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას მიერ შემუშავებული სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი მოიცავს სსსმ მოსწავლის სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის წესს. როდესაც საგნის მასწავლებელი ან დამრიგებელი აღმოაჩენს, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეს აღენიშნება სირთულეები, მიმართავს დირექციას და სპეცპედაგოგს. ამის შემდეგ სკოლის ბაზაზე დგება მოსწავლის მხარდამჭერი ჯგუფი, მშობლის თანხმობის შემთხვევაში იწყება ბავშვის შეფასების პროცედურები, მისთვის სსსმ სტატუსის მინიჭების მიზნით.

ამ მექანიზმზე დაყრდნობით და განათლების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის გადაწყვეტილების საფუძველზე, მოცემული მომენტისათვის, სკოლაში ირიცხება 7 სსსმ მოსწავლე. სკოლას ჰყავს ერთი სპეციალური მასწავლებელი (უფროსი). მასწავლებლების უმრავლესობას გავლილი აქვს ინკლუზიური განათლების დაწყებითი კურსის ტრენინგი

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სსიპ ქალაქ ტყიბულის N7 სასკოლო საზოგადოება მხარს უჭერს სსსმ მოსწავლეთა სასწავლო გარემოში ინტეგრაციის პროცესს. სკოლში შექმნილია ისგ ჯგუფი,როგორც აღვნიშნეთ, ინფრასტრუქტურა სრულად არის ადაპტირებული ლიფტიც აქვთ, თუმცა აღსანიშნავია,რომ ლიფტები არ ფუნქციონირებენ შენობების ექსპლოატაციის დოკუმენტაციის არ არსებობის გამო. რესურსოთახი აღჭურვილია, სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი. სკოლის ექთანი ჩართულია სსსმ მოსწავლეთა საჭიროების განსაზღვრასა და ადმინისტრირების პროცესში. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია თანამშრომლობს მასწავლებლებთან და სსსმ მოსწავლეების მშობლებთან მათთვის შესაბამისი გარემოს შექმნისა და წინსვლა/განვითარებისათვის (სსსმ მოსწავლები, ასაკის შასაფერისად, ყველა სასკოლო პროექტში არიან ჩართული).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვიზუალური დათვალიერება
- ისგ ჯგუფების შექმნის ბრძანებები
- ინდივიდუალური გეგმები
- ზეპირი ინტერვიუ

4.2.4.* სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. *აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ამ ეტაპზე მოსწავლეებისთვის არ აქვს შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება, ნორმები. სკოლას მიეცა რჩევა, მოსწავლეთა კვების ორგანიზების მიზნით მოიძიოს სათანადო მომწოდებელი და შესაბამისი პროცედურების დაცვით უზრუნველყოს სასკოლო ბუფეტისათვის შესაბამისი ფართის გამოყოფა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას ამ ეტაპზე მოსწავლეებისთვის არ აქვს შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება. გამონაკლისია მოსწავლეთა ტრანსპორტირება, რომელიც ხორციელდება „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამის ფარგლებში. სკოლას ემსახურება 1 სამარშრუტო ტაქსი. ამ სეგმენტში სკოლას აქვს ანგარიშგების მკაფიოდ განსაზღვრული სისტემა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა ითვალისწინებს, რომ მომსახურების მიმწოდებელმა სატრანსპორტო კომპანიამ უზრუნველყოს უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმები.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ზეპირი ინტერვიუ
- სატრანსპორტო საშუალების ტექ დათვალიერების აქტი.

- შენობა-ნაგებიბების ვიზუალური დათვალიერება

.....
.....
.....
.....

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	*ხარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[2]

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	დაწყებითი -უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრამ თანამშრომლობის პრინციპით ყურადღებით განიხილოს მეორე უცხოური ენის საგნობრივი კურიკულუმები, მაქსიმალურად დაუახლოვოს მოთხოვნილ ცხრილს, სადაც გაწერილი იქნება სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, კონტექსტ-მაგალითი, რესურსები და ა.შ.
ინდიკატორი N2.1.2.4	*დაწყებითი - სახელმწიფო ენა*	შექმნან კურიკულუმში შეტანილი თემების შესაბამისი განმავითარებელი და

2 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

		განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
ინდიკატორი N 2.1.2.4	დაწყებითი-მათემატიკა	*განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები გაამრავალფეროვნონ თემების მიხედვით, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.*

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

2022-2023 სასწავლო წელს საგნობრივმა კათედრებმა ავტორიზაციის მიმდინარეობის პერიოდში ქოუჩებთან გავლილი კონსულტაციების შედეგად შეიმუშავეს კურიკულუმების ჩარჩოები, რომლებშიც გაიწერა მიმდინარე თუ სამომავლო სასწავლო პროგრამა, რესურსები და აქტივობები. დაწყებითი საფეხურის კათედრებზე პედაგოგებმა განიხილეს გასულ სასწავლო წელს მოსწავლეების მიღწევები, სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი და შუალედური მიზნები, სტანდარტები და მასში შესული ცვლილებები. უკვე ჩატარებულ და ბანკის მიერ შემოთავაზებულ კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით შემუშავდა კურიკულუმების პირველადი ვერსია, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა სკოლის ადმინისტრაციას. მშობლებისათვის შეიქმნა კითხვარები, რათა გაეგოთ და დაედგინათ მათი ინტერესები და საჭიროებები. კათედრების წევრები ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე სასწავლო წლის ბოლოს აანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს (შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებები, სასკოლო პროექტები, მშობელთა ჩართულობები), განიხილავენ მოსწავლეთა ტიპურ საჭიროებებს, შესაძლებლობებს და გეგმავენ მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმას, რომელიც ემსახურება სკოლის მისიის განხორციელებას. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოვლინდა, რომ ისინი სამომავლოდ გეგმავენ უფრო მეტად დააკვირდნენ სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეთა, მშობელთა...) ინტერესებს, გამოკითხვებითა და კვლევით დაადგინონ ეს საჭიროებები და შემდეგ ასახონ კურიკულუმში. სკოლას შემუშავებული აქვს და წარმოადგინა დოკუმენტაციაში კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია , სადაც ნარატივის სახითაა გაწერილი კურიკულუმის აგების, დანერგვის და განვითარების პრინციპები,თუმცა სკოლამ ვერ წარმოადგინა ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ სკოლაში კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

კურიკულუმში ნაწილობრივ ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ამ შემთხვევაში იგულისხმება მოსწავლისა და მასწავლებლის გარდა, საზოგადოების სხვა წევრების ინტერესები. სასწავლო პროექტები და მშობელთა ჩართულობა შესაძლებლობას იძლევა, რომ კურიკულუმის შედგენისას დაიგეგმოს და სწავლების ნაწილად იქცეს სასკოლო საზოგადოების ინტერესებიც. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებასა და დანერგვაში საგნობრივი კათედრები გეგმავენ, რომ გაითვალისწინონ საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები, შეხედულებები, საჭიროებები და მოლოდინები. მასწავლებლები გამოცდილებაზე დაყრდნობით მუშაობენ კურიკულუმში შესატან ცვლილებებზე, რათა მოხდეს წინა წლის შედეგების გაუმჯობესება. ნებისმიერი მოსწავლის მშობელს შეუძლია დაესწროს გაკვეთილებს და დააკვირდეს, როგორ არის ჩართული მისი შვილი სწავლა-სწავლების პროცესში, საგაკვეთილო გარემოში. მშობლები გარკვეულ უკუკავშირს იძლევიან სკოლისათვის. შესაბამისად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ კათედრებზე. სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმების შედგენაში მონაწილეობა მიიღო კათედრის ყველა წევრმა. კათედრებმა შეადგინეს კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი თითოეული კლასისათვის ცალ-ცალკე, შეათანხმეს განსახორციელებელი კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებები, შეარჩიეს დიაგნოსტირების ინსტრუმენტები საგნების მიხედვით, შეთანხმდნენ განმავითარებელი შეფასების ფორმებზე და სხვა. კურიკულუმის შემუშავებაში საზოგადოების სხვა წევრებს (მოსწავლეებს, მშობლებს) უშუალოდ არ მიუღიათ მონაწილეობა, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შედგენისას ნაწილობრივ გათვალისწინებულია მათი ინტერესებიც. კურიკულუმში გათვალისწინებულია ისგ-ები, რომელიც ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იქმნება ისგ-ს ჯგუფის მიერ. კურიკულუმი შემუშავებულია მასწავლებლების და დირექტორის მონაწილეობით, რომელსაც სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე, ვინაიდან ორიენტირი გაკეთებულია საბოლოო შედეგებზე, რომლებიც მიიღწევა საფეხურის ბოლოს, მასწავლებელს შესაძლებლობას მისცემს მიმდინარე წელს არსებული ხარვეზები ან/და გამოწვევები აღმოფხვრას შემდეგ სასწავლო წელს. შესრულებული კომპლექსური დავალებების შედეგად გამოკვეთილი ინტერესები, საჭიროებები და მიღებული ცოდნა კი გათვალისწინებული იქნება სამომავლოდ კურიკულუმის საბოლოო ვერსიების შესადგენად. შესაბამისად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სკოლაში ახალი დაწყებულია პროცესები, რომელიც მიმართულია სასკოლო საზოგადოებისათვის კურიკულუმის გაზიარებისაკენ. მშობლებთან კურიკულუმის გაზიარებისთვის სკოლა გამოიყენებს მშობლებთან პირისპირ შეხვედრებს და სოციალურ ქსელებს, სკოლის ვებგვერდს, Teams-ის პლატფორმას. დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან გააქტიუროს მოსწავლეებთან და მშობლებთან სათანადო კომუნიკაცია და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა. სკოლა ფიქრობს დაგეგმოს მიზნობრივი შეხვედრები მშობლებთან, მათი მოწვევა სკოლაში და კომპლექსური დავალებების პრეზენტაციებზე დასწრება. სკოლას გააზრებული აქვს, რომ პროცესზე ორიენტირებულ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლური პროცესია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას: შემუშავებას და მათ გაზიარებას საკლასო კრებებზე, სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლობით ჯგუფში, რასაც ითვალისწინებს კურიკულუმის შემუშავების გეგმა. ვინაიდან, კურიკულუმების სისტემა ახალია და სასკოლო საზოგადოებისათვის გაზიარებისა და გააზრების პროცესს, სწორი მიდგომების განსაზღვრას სჭირდება დრო, სკოლა გეგმავს, რომ

ტრენინგებზე დასწრებითა და კონსულტაციების გავლის შედეგად მაქსიმალურად უზრუნველყოს აღნიშნული პროცესის გამართულობა. შესაბამისად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ***დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები***
2. ***ერთწლიანი განვითარების სამოქმედო გეგმა***

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

კურიკულუმში წარმოდგენილი თემები, თემების შესაბამისი საკითხები და საკითხთა კლასტერი, კომპლექსური დავალებები, რესურსები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე, რაც აისახება დაწყებითი კლასების კურიკულუმებში. გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რომ კურიკულუმი არის მოსწავლზე ორიენტირებული სწავლის პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზა. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, უპირატესობა

ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს რომ კურიკულუმები სასწავლო წლის დაწყებამდე დაიხვეწება, სრულად შეივსება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
წარმოდგენილ კურიკულუმებში სამიზნე ცნებები (ქვეცნებები), თემები, საკითხები, რესურსები , კომპლექსური ბუნების დავალებები იძლევა შესაძლებლობას პროცესი იყოს ორიენტირებული ფუნქციურ კომპონენტურ უნარებზე, კერძოდ მე-3 კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეა „დაგეგმე მოგზაურობა“ მიემართება შემდეგ ფუნქციურ უნარებს: შემოქმედობითობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ნებელობა. ასევეა სხვა კომპლექსური ბუნების დავალებებში სხვადასხვა კლასებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
კურიკულუმში გათვალისწინებული კომპლექსური დავალებების პირობა, კრიტერიუმები და აქტივობები ფორმულირებულია ისე რომ ფარავს ცოდნის სამივე კატეგორიას და აგებულია მარტივიდან რთულისკენ. გათვლილია სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის. გარდა ამისა კომპლექსური დავალების წარმოდგენილი ნიმუშები მოსწავლეს საშუალებას აძლევს აირჩიოს მისთვის სასურველი შემოქმედებითი პროდუქტის ფორმა, მოსწავლის მზაობიდან გამომდინარე. რაც დიფერენცირებული მიდგომის ელემენტებია. დამატებითი ინფორმაციისა და დეტალების მოძიება შესაძლებელი გახადა ვიზიტის დროს პედაგოგთა უკუკავშირით. პედაგოგებმა აღნიშნეს რომ მოსწავლის სწავლის პროცესს აკვირდებიან, მონაცემებს აგროვებენ, მათი ანალიზის საფუძველზე კი მოსწავლის საჭიროებებსა და ძლიერ მხარეებს ადგენენ, მოსწავლის სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად. გაგვიზიარეს გამოცდილება კომპლექსური დავალების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის ადაპტაციის კუთხით, მეხუთე კლასის მოდიფიცირებული დავალების მაგალითზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში (მათემატიკის მიმართულებით) არაა ასახული განმავითარებელი შეფასების ნიმუშები, თუმცა მე-6 კლასის კურიკულუმის დანართის სახით წარმოდგენილ მატრიცები და კომპლექსური დავალებები მოიცავს განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმებს, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ისეა ჩამოყალიბებული რომ ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მიმდინარეობას სხვადასხვა სახის მეთოდური ორიენტირების გამოკვეთას.

გულისხმობს მოსწავლის მხრიდან შესრულებული სამუშაოს აღწერას და წარმოდგენილი ნაშრომის გასიტყვებას და შეფასებას. კერძოდ, მე-6 კლასი. თემა: რიცხვები და მოქმედებები. კომპლექსური დავალება: „მენიუ“, „შოკოლადის ორცხობილა“. პედაგოგებმა გასაუბრებაზე ძალიან კარგად წარმოაჩინეს როგორ უნდა შეფასდეს მოსწავლე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებით ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებთან მიმართებაში. რჩევა: შესაქმნელია განმსაზღვრელი და გამნავითარებელი შეფასების რუბრიკები, თემების მიხედვით, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

წარმოდგენილი კურიკულუმები აგებულია იმგვარად რომ მასში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი, რაც სკოლაში არსებულ გამოწვევებსა და მიგნებებს ეყრდნობა. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ კურიკულუმის შევსებისას თანამშრომლობენ კათედრაზე. გაითვალისწინეს საგნის სწავლების წარმატებული გამოცდილება და ასახეს კურიკულუმის ჩარჩოში. სკოლა ასევე გეგმავს, შემდგომში მეტად ხელმისაწვდომი გახადოს და გააზიაროს კურიკულუმის დანერგვის პროცესები, რათა უფრო ეფექტური გახდეს წინარე გამოცდილებაზე დაფუძნებული კურიკულუმის შემუშავება, გათვალისწინებული და რეალიზებული იქნას კომპლექსური დავალების პირობისა და დაფარვის ეტაპებზე განსაზღვრული აქტივობების გამოცდილება.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები I-VI კლასის.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში დაწყებით საფეხურზე გამოიყენება აქტიური სწავლების მეთოდები. საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას მასწავლებელები ცდილობენ გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინტერესები და აქედან გამომდინარე ცდილობენ დაგეგმონ აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას, მოსწავლეებს აქვთ საშუალება იმსჯელონ, იფიქრონ და მოიძიონ პრობლემის გადაჭრის გზები, გეგმავენ და შემდეგ ახორციელებენ სხვადასხვა მიზნობრივ ქმედებებს. ამას მოწმობს წლის მანძილზე პედაგოგების მიერ განხორციელებული დავალებები, სწავლა-სწავლების პროცესის დროს გამოყენებული აქტივობები. როგორც დადგინდა, გამოყენებული რესურსები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებისკენ. სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, თუმცა სივრცე და რესურსები არსებობს და დაწყებულია მუშაობა ლაბორატორიის მოსაწყობად
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები გაზიარებული და შეჯერებულია საგნობრივი კათედრების წევრებთან, კურიკულუმებში ამა თუ იმ თემაზე შემოთავაზებულია კომპლექსური დავალება. პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებას, ინტერესებს, ეხმარებიან მოსწავლეებს არსებული ცოდნის ახალთან დაკავშირებაში, სწავლა-სწავლებას უკავშირებენ ნაცნობ კონტექსტებს, თემას, შემდეგ აორგანიზებენ და ცდილობენ მოახდინონ ინტეგრირება სხვა ნაცნობ თემასთან, საკითხთან, საგანთან.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ინტერვიუებზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რაც ასახულია მასწავლებელბის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, და ასევე გამოჩნდა ინტერვიუების დროს. პედაგოგებმა ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ სხვადასხვა პროექტსა და ღონისძიებაში ჩართულობა, დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას ამ მიმართულებით. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ეფექტური სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და განვითარებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

კათედრების წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ თემატური გეგმის შემადგენელი კომპონენტების არსი. მათი მსჯელობის თანახმად, ვინაიდან სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს კომპლექსური დავალებებით,პროექტებითა და სხვადასხვა სახის შემაჯამებელი სამუშაოებით, თითოეული დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ თემის შესაბამისი საკითხების დამუშავება და ამგვარად საბოლოო პროდუქტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც. ყოველივე აღნიშნული დასტურდება დოკუმენტურად, მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ თემატურ გეგმებში/კურიკულუმებში. კურიკულუმებში წარმოდგენილი შუალედური მიზნები (კომპლექსური დავალების პირობები) ახდენს მოსწავლეების ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზებას, კერძოდ, ყოველი თემის ფარგლებში განსახორციელებელი კომპლექსური დავალება გათვლილია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.

ინდიკატორი 5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

კათედრებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირებისთვის საგნობრივი კურიკულუმების როლი, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნების მიღწევისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ არსებული გამოცდილებით, ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას ახერხებდნენ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებით, რათა მოსწავლეებმა შესძლონ სხვადასხვა საგანში შეძენილი ცოდნის ტრანფერი. ინტერვიუზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ პედაგოგები ეხმარებიან მოსწავლეებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში და სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- ინტერვიუ

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სკოლის მიერ წარმოდგენილ, დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებში ჩანს , დროში გაწერილი გეგმა , თუ როგორ მოახდენენ,ესგ-ით გათვალისწინებულ ,საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით , სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას მოსწავლეებში ,მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა ამ ეტაპზე, წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმები ,სასწავლო წლის დაწყებამდე შეავსონ კომპლექსური დავალების იდეებითა და ამ დავაებების შესრულებისათვის საჭირო რესურსების მითითებით. სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლებს აქვთ მზაობა ამ მიმართულებით დახვეწონ და განივითარონ უნარები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

დაწყებით საფეხურზე კათედრების მიერ წარმოდგენილ, განხორციელებულ აქტივობების, პროექტებისა და ინტეგრირებული გაკვეთილების ამსახველი მასალებიდან ჩანს, რომ დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კონტექსტი ემსახურება არა მხოლოდ საკითხის

შინაარსის შესწავლას, არამედ მოსწავლეთა ფსიქო ემოციურ განვითარებას სკოლაში იგრძნობა მოსწავლეთა პოზიტიური, მხარდამჭერი გარემო , მოსწავლეთა სპეციალური საჭიროების დადგენა და მათთვის შესაბამისი მომსახურების მიწოდებას სკოლა ახორციელებს ყველა წესის დაცვით. სკოლას ემსახურება ერთი სპეციალური მასწავლებელი . ამჟამად სკოლაში არსებული საჭირო რესურსების ნაწილი - საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობა დასაწყობებულია არ ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია ,თუმცა სკოლაში მიმდინარეობდა შესაბამისი საქმიანობები ,ამ ეტაპზე გამოყოფილია სივრცე ლაბორატორიის მოსაწყობად . ექსპერტების რჩევაა დროულად დაასრულოს სკოლამ ეს პროცესი ,რათა ხელმისაწვდომი გახდეს მოსწავლეთათვის ყველა საჭირო რესურსი. სკოლას ასევე აქვს სამკითხველო სივრცე და ბიბლიოთეკა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სწორად იაზრებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მიზნებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში ასახულია ცოდნის კონსტრუირების დინამიკა დეკლარაციული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე . მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების მიზნით მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს, ამ ინსტრუმენტების გამოყენებით თვალს ადევნებენ მოსწავლის განვითარების პროცესს მთელი სემესტრის განმავლობაში, იღებენ ინფორმაციას მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეებისა და მოსწავლეთა საჭიროებების შესახებ. მასწავლებლებმა წარმოადგინეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები მიემართება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს ცნების მიხედვით და ითვალისწინებს მოსწავლის მრავალმხრივ შეფასებას. ასევე ინტერვიუირებისას აღნიშნეს , რომ ფლობენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს და წარმატებით იყენებენ პრაქტიკაში და ახალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ გამოწვევის შესაბამისად ახალი რუბრიკების შექმნას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

შეფასების ზოგადი სქემა მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით მასწავლებელი გეგმავს შეფასება წარმართოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით: განმსაზღვრელ-განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეზე დაკვირვება, მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკების გამოყენება. შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობას და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. მასწავლებელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ მოსწავლეები ჩართული არიან შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში, რაც ზრდის სანდოობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სკოლის თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ სკოლას აქვს შემუშავებული ვერიფიკაციის ინსტრუმენტი, თუმცა აღნიშნული წარმოადგენს სამუშო ვერსიას და არის დამტკიცებული ბრძანებით.

მასწავლებლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

მასწავლებლებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შედეგების ანალიზი ხდება შემაჯამებელ სამუშაოებზე დაყრდნობით, ასევე დამრიგებლის ანგარიშის საფუძველზე. მასწავლებლების თქმით მოსწავლის მიღწევების ანალიზი არის სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი, რომელზე დაყრდნობითაც იგეგმება სასწავლო პროცესის განხორციელება, ამ დოკუმენტის

შესაბამისად და ინტერვიუზე დაყრდნობით შეფასება რეგულარულად ეცნობება მშობელს. სასწავლო წლის დასაწყისში მშობლები ეცნობიან სასკოლო სასწავლო გეგმას, სკოლაში მოქმედ შეფასების სისტემას, ნიშნის ამაღლების წესს, სემესტრული გამოცდის დანიშვნის გზით და ა.შ. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და დოკუმენტი,რომლითაც დასტურდება,რომ სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ინდიკატორი 6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით, 3 წლის ვადით, რომელიც წარმოდგენილი იქნება მასწავლებელების პორტფოლიოს სახით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- ინტერვიუს შედეგები;
- შეფასების რუბრიკები
- დირექტორის 2023 წლის 6 სექტემბრის N.2-104 ბრძანება შეფასების ვერიფიკაციის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, ასევე შეფასების ინსტრუმენტები მოსწავლეთა პიროვნული ზრდის საშუალებას აძლევა, კურიკულუმებში გათვალისწინებულია მათზე მორგებული კომპლექსური დავალებები. რომლებიც ყველა მოსწავლისათვის სწავლის თანაბარ შესაძლებლობას ქმნის.

მოსწავლის ჰოლისტურად შეფასების წესები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და მხარდამჭერი სასწავლო პროცესის მაჩვენებელია. სსსმ მოსწავლეებისათვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც ისგ ჯგუფის მიერ პერიოდულად გადაიხედება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება. ასევე, სასწავლო შენობა ადაპტირებულია სსსმ და შშმ მოსწავლეთა საჭიროებებზე, ამრიგად სკოლა სასწავლო პროცესში ქმნის მოსწავლისათვის მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

წარმოდგენილი კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და წინარე გამოცდილებაზე. უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებასა და ჩართულობის გაზრდას. კონსტრუქტივისტული პრინციპების გათვალისწინება, არჩევითი დავალებების შეთავაზება, უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ როლს სასწავლო პროცესში.

ასევე, წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები მიმანიშნებელია იმისა, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია დაკვირვება აწარმოოს მოსწავლის პროგრესზე და მის საჭიროებაზე მორგებულად დაგეგმოს სასწავლო პროცესი, უზრუნველყოს პროდუქტის, დავალების, აქტივობის დიფერენცირება, გაზარდოს ან შეამციროს დავალებაზე მუშაობისათვის საჭირო დრო, მოამზადოს თვალსაჩინო მასალა და სხვა. მასწავლებლები დამატებითი არაფორმალური აქტივობების თემების შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს და საჭიროებებს, რაც საშუალებას იძლევა სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლეზე ორიენტირებულად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

დაგეგმილი კურიკულუმები მიზანმიმართულია მოსწავლეთა გლობალური ფუნქციური უნარების, მათ შორის კოლაბორაციისა და კომუნიკაციის უნარების განვითარებაზე. გასაუბრებებიდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება სასწავლო პროცესში სხვადასხვა აქტივობები ისე წარმართონ, რომ შეიქმნას პოზიტიური თანამშრომლობითი გარემო.

სკოლაში დამკვიდრებული თანამშრომლობითი კულტურა შესაძლებლობას ქმნის ერთობლივად განისაზღვროს წარმატებების წინაპირობები და პრობლემების გადაჭრის გზები, ასევე წარიმართოს სხვა საგნობრივ კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის სხვადასხვა პერსპექტივიდან ჩართვას კურიკულუმის შემუშავებაში. სკოლისთვის დამახასიათებელი თანამშრომლობა და გუნდურობა სკოლას აქცევს მოსწვალეზე ორინეტირებული გადაწყვეტილებების მიმღებ დაწესებულებად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

კურიკულუმებში მოცემული საკითხები შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში. განმავითარებელი შეფასებებისა და კომენტარების საშუალებით კი ხდება მოსწავლეთა მხარდაჭერა სასწავლო პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევაში. მასწავლებლებს კარგად აქვთ გაცნობიერებული კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარების, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრისა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიების, სხვა

საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობის აუცილებლობა, რომ სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევებისა და პრობლემების გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია არა ერთი ან ორი პედაგოგის ჩართულობა არამედ იმ გუნდის რომელსაც მთლიანი სასკოლო საზოგადოება წარმოადგენს.
წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამებიდან იკვეთება , რომ მუდმივი ზრუნვის საგანია პოზიტიური კლიმატის შენარჩუნება კლასის დონეზე რაც თავისთავად შემდგომ პოზიტიურ ასახვას ჰპოვებს სკოლის დონეზეც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- ინდ.გეგმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
სკოლას კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიით განსაზღვრული აქვს მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებსა და დირექციის ინტენსიური თანამშრომლობით პროცესებზე დაკვირვებასა და შედეგების ანალიზთან.
კურიკულუმის განვითარება თავისთავად წარმოადგენს ციკლურ პროცესს, რადგან , მეთოდოლოგიის მიხედვით, ჯერ ხდება მისი დაგეგმვა, რასაც მოსდევს განხორციელება და მონიტოინგი /შეფასება გადაგეგმვა.
სკოლის არსებული პრაქტიკა და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია იძლევა საშუალებას ვთქვათ, რომ მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგისა და შეფასებასებისას უნდა გამოიკვეთოს რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესში სკოლა მოიაზრებს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას, მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების დადგენას. კერძოდ, სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრება და გამოცდილების გაზიარება. კათედრები სემესტრის ბოლო შემაჯამებელ სხდომებზე აჯამებენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზების შედეგებს, დირექციის წარმომადგენლები აკვირდებიან სასწავლო პროცესს და მოსწავლეთა შედეგების დინამიკას სემესტრულად. დაკვირვების/მონიტორინგის შედეგად მიღებული შედეგების გამოყენება ხდება სასკოლო საზოგადოების მხარდასაჭერად. მასწავლებლების შემთხვევაში ეს გამოიხატება გამოცდილების გაზიარების, სასწავლო ჯგუფებში მუშაობის და ტრენინგებსა და ვებინარებში მონაწილეობის (გამოვლენილი საჭიროებიდან გამომდინარე) მხარდაჭერაში დირექციის მხრიდან, მოსწავლეების შემთხვევაში ეს არის რემედიაციის პროგრამა და დიფერენცირებული სწავლება. სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა და შეფასება მიმდინარეობს მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, პედაგოგებს ესმით მშობლების უკუკავშირის ანალიზის მნიშვნელობა და აპირებენ ამ კუთხით გაშალონ მუშაობა სამომავლოდ. სკოლაში მუშაობს კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი და მხარდამჭერთა გუნდი. მომავალი წლისთვის აპირებენ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში საჭირო ცვლილებების შეტანას მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩო დოკუმენტის ანალიზის საფუძველზე გამოტანილი დასკვნებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.
გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესში დგინდება სწავლის პროცესში არსებული ხარვეზები, პედაგოგიურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემები, სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები. შეფასების პროცესის სწორი წარმართვა განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გამოიყენება ერთის მხრივ როგორც პრობლემი გადაჭრის, და მეორეს მხრივ როგორც რეკომენდაციების პაკეტის შემუშავების საშუალება, რომელიც გამოყენებული იქნება ახალ სასწავლო წელს უკეთესი სასწავლო შედეგების მისაღებად. დირექციის წარმომადგენლები ყველა სტატუსის მქონე მასწავლებელს ესწრებიან კანონმდებლობით განსაზღვრული წესით და ადგენენ მათ საჭიროებას, აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს, ეხმარებიან სირთულეების დაძლევაში, რაშიც მათ სკოლაში დამკვიდრებული თანამშრომლობითი კულტურა ეხმარებათ. კათედრები კი მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების შეკრებებზე გეგმავენ გაკვეთილებს, ატარებენ და შემდეგ განიხილავენ შედეგებს და სახავენ განვითარების გზებს. როგორც ჩანს, სკოლაში სასწავლო პროცესზე დაკვირვების სხვადასხვა მიმართულების მიზანი ერთია, მოახდინოს შეფასება, გამოავლინონ საჭიროება და ერთობლივად განსაზღვრონ პრობლემის გადაჭრის გზა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრების ოქმები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები შეფასების კუთხით ეყრდნობა მასწავლებელთა და მოსწავლეთა თვითშეფასებებს, ურთიერთშეფასებებს, მოსწავლეთა მიღწევების ანალიზს. სამომავლოდ იგეგმება წინასწარ შეიმუშაონ შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები, რომელთა საშუალებით სოლო ტაქსონომიაზე დაყრდნობით გააანალიზებენ მოსწავლეთა მიერ შესრულებულ სამუშაოებს. მომავალი სასწავლო წლისთვის იგეგმება ანალიზისთვის საჭირო მექანიზმის შემუშავება, რაც სასწავლო პროცესის წინსვლისა და განვითარების მთლიან სურათს თვალსაჩინოს გახდის. მოსწავლის ჰოლისტური განვითარების შეფასებისას მაქსიმალურად სრული სურათის მისაღებად პედაგოგებს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით მოძიების გამოცდილება აქვთ. მათი წყაროები იყვნენ მოსწავლე, მშობელი, სხვა მასწავლებელი. მომავალში სკოლა გეგმავს ასახოს მეთოდოლოგიაში, თუ როგორ განხორციელდება სასკოლო

სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვება. ეს პროცესი დაიგეგმება სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით: მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან, თითოეული საგნის პედაგოგთან, დამრიგებელთან გასაუბრების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციაზე დაფუძნებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებსა და შეფასების რუბრიკებში დიფერენცირებული მიდგომების დამკვიდრებასთან ერთად იგეგმება შეფასების რუბრიკების მისადაგება სწავლების სხვადასხვა მეთოდთან. იქნება ეს ფორმალური თუ არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული აქტივობების შეფასება, სსსმ მოსწავლეთა ისგ-ს მიხედვით შეფასება. სკოლა გამოხატავს მზაობას დაადგინოს მოსწავლეთა საჭიროებები, ინტერესები, შესაძლებლობები იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის განვითარებაზე ახდენს გავლენას. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ და მზად არიან შეიმუშავონ ეფექტური შეფასების მექანიზმები, რომლის მიზანია გამოიყენოს ყველა ადამიანური რესურსი და შეისწავლოს კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი და ა.შ., რაც შეიძლება გავლენას ახდენდეს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე. სამომავლოდ ისინი გამოიკვლევენ ყველა იმ სივრცეს, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს შეფასებაზე: სკოლა, კლასი, სახლი, სათამაშო სივრცე და სხვა. იგივე მოხდება პროცესების, პრობლემების, გამოწვევების შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას. აღნიშნულიდან გამომდინარე ვასკვნით, რომ **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

მასწავლებლებთან გასაუბრებებისას მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ შეფასებისთვის გამოიყენებენ როგორც განმსაზღვრელ ასევე განმავითარებელ შეფასებას, რაც დასტურდება სკოლის მიერ მოწოდებული მომავალი წლის განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუნრიკებით, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი, რომ მოსწავლეები შეფასდებიან გრძელვადიან მიზნებზე ცნებებზე, შედეგებზე დაყრდნობით, ასევე სკოლის მიერ მოწოდებულ კურიკულუმებში ასახული შუალედური(საკითხები, თემები, კომპლექსური დავალების იდეა) და გრძელვადიანი(ცნებები, შედეგები) მიზნებიდან და კურიკულუმებში ასახული სკოლის მიერ მოწოდებული კომპლექსური დავალებების სრული(ინსტრუქციით) ნიმუშებიდან გამომდინარე (სადაც ასევე მკაფიოდ არის გამოკვეთილი თუ რის მიხედვით უნდა შეფასდეს მოსწავლე განმავითარებელი შეფასებით) ვფიქრობ, რომ მომავალ სასწავლო წელს შეფასებისას გამოყენებული იქნება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

მასწავლებლებთან გასაუბრებებისას მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ შეფასებისთვის გამოიყენებენ როგორც განმსაზღვრელ ასევე განმავითარებელ შეფასებას, რაც დასტურდება სკოლის მიერ მოწოდებული მომავალი წლის განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუნრიკებით, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი, რომ მოსწავლეები შეფასდებიან გრძელვადიან მიზნებზე ცნებებზე, შედეგებზე დაყრდნობით, ასევე სკოლის მიერ მოწოდებულ კურიკულუმებში ასახული შუალედური(საკითხები, თემები, კომპლექსური დავალების იდეა) და გრძელვადიანი(ცნებები, შედეგები) მიზნებიდან და კურიკულუმებში ასახული სკოლის მიერ მოწოდებული კომპლექსური დავალებების სრული(ინსტრუქციით) ნიმუშებიდან გამომდინარე (სადაც ასევე მკაფიოდ არის გამოკვეთილი თუ რის მიხედვით უნდა

შეფასდეს მოსწავლე განმავითარებელი შეფასებით) შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მომავალ სასწავლო წელს შეფასება განხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

…დასტურდება (მტკიცებულებები):

- *კურიკულუმები.*
- *შეფასების რუბრიკები*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

სკოლის მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმიდან გამომდინარე კურიკულუმის განვითარებას მუდიმავად ახდენენ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. თუმცა ამ მხრივ მნიშვნელოვანია სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტის

გამოყენება, რის საფუძველზეც მოხდეს კურკულუმში ცვლილებების შეტანა მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. ასევე მიმდინარე წლის კურკულუმიდან გამომდინარე გამოკვეთილი საჭიროებები აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ახალი სასწავლო წლის ფარგლებში კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რაზეც მზაობა დაადასტურეს პედაგოგებმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ახალი სასწავლო წლისთვის იგეგმება კურკულუმის რევიზია/განახლება მათ შორის უკვე შექმნილი კურკულუმის ჩარჩოების, რომელშიც გათვალისწინებული იქნება წინარე გამოცდილება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *გადამუშავებული კურიკულუმი.*
- *სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის კურიკულუმი)	*ხარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[3]

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის კურიკულუმი)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის კურიკულუმი)	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	საბაზო -უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრამ თანამშრომლობის პრინციპით ყურადღებით განიხილოს მეორე უცხოური ენის საგნობრივი კურიკულუმები, მაქსიმალურად დაუახლოვოს მოთხოვნილ ცხრილს, სადაც გაწერილი იქნება სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, კონტექსტ-მაგალითი, რესურსები და ა.შ.
ინდიკატორი N2.1.2.4	*საბაზო- სახელმწიფო ენა*	შექმნან კურიკულუმში შეტანილი თემების შესაბამისი

[3] გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

		განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **(საბაზო საფეხურის კურიკულუმი)**	**☒შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

2022-2023 სასწავლო წელს სკოლამ ავტორიზაციის მიმდინარეობის პერიოდში ქოუჩებთან გავლილი კონსულტაციების შედეგად შეიმუშავა კურიკულუმების ჩარჩოები, რომლებშიც გაიწერა მიმდინარე თუ სამომავლო სასწავლო პროგრამა, რესურსები და აქტივობები. საბაზო საფეხურის კათედრებზე პედაგოგებმა განიხილეს გასულ სასწავლო წელს მოსწავლეების მიღწევები, სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი და შუალედური მიზნები, სტანდარტები და მასში შესული ცვლილებები. უკვე ჩატარებულ და ბანკის მიერ შემოთავაზებულ კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით შემუშავდა კურიკულუმების პირველადი ვერსია, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა სკოლის ადმინისტრაციას. კათედრების წევრები ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე სასწავლო წლის ბოლოს აანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს (შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებები, სასკოლო პროექტები, მშობელთა ჩართულობები), განიხილავენ მოსწავლეთა ტიპურ საჭიროებებს, შესაძლებლობებს და გეგმავენ მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმას, რომელიც ემსახურება სკოლის მისიის შესრულებას. მათ აქვთ ხედვა, თუ როგორაა შესაძლებელი ამ კომპონენტის გაძლიერება. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოვლინდა, რომ ისინი სამომავლოდ გეგმავენ უფრო მეტად დააკვირდნენ სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეთა, მშობელთა...) ინტერესებს, გამოკითხვებითა და კვლევით დაადგინონ ეს საჭიროებები და შემდეგ ასახონ კურიკულუმში. მშობელთა და მოსწავლეთა მხრიდან გაკეთებული უკუკავშირებით, რეფლექსიებით გამოკვეთილი გამოწვევები და მიღწევები, განმავითარებელი შეფასების სისტემა, არაფორმალური და ფორმალური განათლების ინტერვენციები ბუნებრივად უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების კურიკულუმში ასახვას. სკოლას შექმნილი და გადმოგზავნილი აქვს კურიკუუმის შემუშავების მეთოდოლოგიის სამუშო ვერსია, თუმცა აღნიშნული არ არის დამტკიცებული ბრძანებით. სკოლამ წარმოადგინა ჭესაბამისობის გეგმა და დოკუმენტი კურიკუუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ამ შემთხვევაში იგულისხმება მოსწავლისა და მასწავლებლის გარდა, საზოგადოების სხვა წევრების ინტერესები. სასწავლო პროექტები და მშობელთა ჩართულობა შესაძლებლობას იძლევა,

რომ კურიკულუმის შედგენისას დაიგეგმოს და სწავლების ნაწილად იქცეს სასკოლო საზოგადოების ინტერესებიც. მასწავლებლები გამოცდილებაზე დაყრდნობით მუშაობენ კურიკულუმში შესატან ცვლილებებზე, რათა მოხდეს წინა წლის შედეგების გაუმჯობესება. ნებისმიერი მოსწავლის მშობელს შეუძლია დაესწროს გაკვეთილებს და დააკვირდეს, როგორ არის ჩართული მისი შვილი სწავლა-სწავლების პროცესში, საგაკვეთილო გარემოში. მშობლები გარკვეულ უკუკავშირს იძლევიან სკოლისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ კათედრებზე. სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმის შედგენაში მონაწილეობა მიიღო კათედრის ყველა წევრმა. კათედრებმა შეადგინეს კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი თითოეული კლასისათვის ცალ-ცალკე, შეათანხმეს განსახორციელებელი კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებები, შეარჩიეს დიაგნოსტირების ინსტრუმენტები საგნების მიხედვით, შეთანხმდნენ განმავითარებელი შეფასების ფორმებზე და სხვა. კურიკულუმის შემუშავებაში საზოგადოების სხვა წევრებს (მოსწავლეებს, მშობლებს) უშუალოდ არ მიუღიათ მონაწილეობა, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შედგენისას იგეგმება გათვალისწინონ მათი ინტერესებიც. საგნობრივი კათედრის მასწავლებლები თანხმდებიან თემებისა და ძირითადი საკითხების განაწილებაზე. კურიკულუმში გათვალისწინებულია ისგ-ები, რომელიც ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იქმნება ისგ-ს ჯგუფის მიერ. კურიკულუმი შემუშავებულია მასწავლებლების და დირექტორის მონაწილეობით, რომელსაც სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე, ვინაიდან ორიენტირი გაკეთებულია საბოლოო შედეგებზე, რომლებიც მიიღწევა საფეხურის ბოლოს, მასწავლებელს შესაძლებლობას მისცემს მიმდინარე წელს არსებული ხარვეზები ან/და გამოწვევები აღმოფხვრას შემდეგ სასწავლო წელს. შესრულებული კომპლექსური დავალებების შედეგად გამოკვეთილი ინტერესები, საჭიროებები და მიღებული ცოდნა კი გათვალისწინებული იქნება სამომავლოდ კურიკულუმის საბოლოო ვერსიების შესადგენად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

სკოლაში ახალი დაწყებულია პროცესები, რომელიც მიმართულია სასკოლო საზოგადოებისათვის კურიკულუმის გაზიარებისაკენ. მშობლებთან კურიკულუმის გაზიარებისთვის სკოლა გამოიყენებს მშობლებთან პირისპირ შეხვედრებს და სოციალურ ქსელებს, სკოლის ვებგვერდს, Teams-ის პლატფორმას. დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან გააააქტიუროს მოსწავლეებთან და მშობლებთან სათანადო კომუნიკაცია და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა. სკოლა ფიქრობს დაგეგმოს მიზნობრივი შეხვედრები მშობლებთან, მათი მოწვევა სკოლაში და კომპლექსური დავალებების პრეზენტაციებზე დასწრება. სკოლას გააზრებული აქვს, რომ პროცესზე ორიენტირებულ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლური პროცესია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას: შემუშავებას და მათ გაზიარებას საკლასო კრებებზე, სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლობით ჯგუფში, რასაც ითვალისწინებს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. ვინაიდან,

კურიკულუმების სისტემა ახალია და სასკოლო საზოგადოებისათვის გაზიარებისა და გააზრების პროცესს, სწორი მიდგომების განსაზღვრას სჭირდება დრო, კათედრა გეგმავს, რომ ტრენინგებზე დასწრებითა და კონსულტაციების გავლის შედეგად მაქსიმალურად უზრუნველყოს აღნიშნული პროცესის გამართულობა. შესაბამისად,
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *საბაზო საფეხურის კურიკულუმები*
2. *ერთწლიანი განვითარების სამოქმედო გეგმა*

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

კურიკულუმში წარმოდგენილი თემები, თემების შესაბამისი საკითხები და საკითხთა კლასტერი, კომპლექსური დავალებები, საგანმანათლებლო აქტივობები, რესურსები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე. რაც კარგად ჩანს მე-7, მე-8 მე-9 კლასის კურიკულუმებში. გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ საბაზო საფეხურის

მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რომ კურიკულუმი არის მოსწავლზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზა . ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო წლის დაწყებამდე კურიკულუმები დაიხვეწება, სრულად შეივსება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
წარმოდგენილ კურიკულუმებში სამიზნე ცნებები (ქვეცნებები), თემები, საკითხები, რესურსები იძლევა შესაძლებლობას პროცესი იყოს ორიენტირებული ფუნქციურ კომპონენტურ უნარებზე, კერძოდ მე-7 კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეა „საპროცენტო განაკვეთები ბანკების მიხედვით“ მიემართება შემდეგ ფუნქციურ უნარებს: შემოქმედობითობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ნებელობა. ასევე სხვა კომპლექსური ბუნების დავალებებში სხვადასხვა კლასებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
კურიკულუმში გათვალისწინებული კომპლექსური დავალებების პირობა , კრიტერიუმები და აქტივობები ფორმულირებულია ისე რომ ფარავს ცოდნის სამივე კატეგორიას და აგებულია მარტივიდან რთულისკენ. გათვლილია სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის. გარდა ამისა კომპლექსური დავალების წარმოდგენილი ნიმუშები მოსწავლეს აძლევს აირჩიოს მისთვის სასურველი შემოქმედებითი პროდუქტის ფორმა, რაც დიფერენცირებული მიდგომის ელემენტებია დამატებითი ინფორმაციისა და დეტალების მოძიება შესაძლებელი გახადა ვიზიტის დროს პედაგოგთა უკუკავშირით. პედაგოგებმა აღნიშნეს რომ მოსწავლის სწავლის პროცესს აკვირდებიან, მონაცემებს აგროვებენ, მათი ანალიზის საფუძველზე კი მოსწავლის საჭიროებებსა და ძლიერ მხარეებს ადგენენ, მოსწავლის სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის მიღწევის ტაქსონომიას.(7კლასი) ასევე წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრუკა, სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით (7 კლასი), რომლებიც ზოგად წარმოდგენას ქმნის სკოლის ფარგლებში აღნიშნული შეფასების ფორმების წარმოების წესზე. შეფასების ორივე ფორმა ეყრდნობა სტანდარტით გათვალისწინებულ მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება როგორც შუალედურ ასევე გრძელვადიან მიზნებს. განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ისეა ჩამოყალიბებული რომ ხელს უწყობს

სასწავლო პროცესში მიმდინარეობას სხვადასხვა სახის მეთოდური ორიენტირების გამოკვეთას. გულისხმობს მოსწავლის მხრიდან შესრულებული სამუშაოს აღწერას და წარმოდგენილი ნაშრომის გასიტყვებას და შეფასებას. კერძოდ, მე-7 კლასი. თემა: მოქმედებები რაციონალურ რიცხვებზე; კომპლექსური დავალება „საპროცენტო განაკვეთები სხვადასხვა ბანკში“
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

წარმოდგენილი კურიკულუმები აგებულია იმგვარად რომ მასში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი, რაც სკოლაში არსებულ გამოწვევებსა და მიგნებებს ეყრდნობა. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ კურიკულუმის შევსებისას თანამშრომლობენ კათედრაზე. გაითვალისწინეს საგნის სწავლების წარმატებული გამოცდილება და ასახეს კურიკულუმის ჩარჩოში. სკოლა ასევე გეგმავს, შემდგომში მეტად ხელმისაწვდომი გახადოს და გააზიაროს კურიკულუმის დანერგვის პროცესები, რათა უფრო ეფექტური გახდეს წინარე გამოცდილებაზე დაფუძნებული კურიკულუმის შემუშავება, გათვალისწინებული და რეალიზებული იქნას კომპლექსური დავალების პირობისა და დაფარვის ეტაპებზე განსაზღვრული აქტივობების გამოცდილება.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები საბაზო საფეხურის
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში საბაზო საფეხურზე გამოიყენება სწავლა სწავლების ინტერაქტიული მეთოდები. კათედრების მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კერძოდ, კურიკულუმების ჩარჩო დოკუმენტებში ორიენტირება ხდება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, წარმოდგენილია თემატური ბლოკების მიხედვით თემები, თემებთან დაკავშირებული საკითხი, გამოყოფილია სამიზნე ცნენები და ის ქვეცნებები, რომელიბიც მუშავდება საკითხთან და თემასთან მიმართებით, წინასწარაა გაწერილი კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისადაა შერჩეული.

საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას მასწავლებელები ცდილობენ გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინტერესები და აქედან გამომდინარე ცდილობენ დაგეგმონ აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას, მოსწავლეებს აქვთ საშუალება იმსჯელონ, იფიქრონ და მოიძიონ პრობლემის გადაჭრის გზები, გეგმავენ და შემდეგ ახორციელებენ სხვადასხვა მიზნობრივ ქმედებებს. ამას მოწმობს წლის მანძილზე პედაგოგების მიერ განხორციელებული დავალებები, სწავლა-სწავლების პროცესის დროს გამოყენებული აქტივობები. როგორც დადგინდა, გამოყენებული რესურსები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და საარზოვნო უნარების განვითარებისკენ.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
ტყიბულის # 7 საჯარო სკოლის კათედრების მიერ წარმოდგენილ მასალაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ სკოლას ნათლად აქვს გამოკვეთილი გრძელვადიანი მიზნები და მისკენ მისასვლელი შუალედური მიზნები კომპლექსური დავალებებისა და ინტეგრირებული პროექტების სახით. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა გრძელვადიან მიზნების მიღწევის სტრატეგია და მეთოდოლოგია. საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვითა და მასწავლებლებთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილია საგნობრივი კათედრების მიერ თანამშრომლობის საფუძველზე. პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებას, ინტერესებს, ეხმარებიან მოსწავლეებს არსებული ცოდნის ახალთან დაკავშირებაში, სწავლა-სწავლებას უკავშირებენ ნაცნობ კონტექსტებს, თემას, შემდეგ აორგანიზებენ და ცდილობენ მოახდინონ ინტეგრირება სხვა ნაცნობ თემასთან, საკითხთან, საგანთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში შეთავაზებულია ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებმაც მოსწავლეები უნდა დააფიქროს სწავლის პროცესზე და წაახალისოს მეტაკოგნიცია. ეს უზრუნველყოფს, რომ სწავლის პროცესში აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე. კომპლექსური დავალებების მრავლფეროვანი არჩევანი საშუალებას იძლევა, დავალების შესრულების სხვადასხვა ეტაპებზე, მოსწავლეებმა განსხვავებული მეთოდი და სტრატეგია გამოიყენონ და თვითონ დაგეგმონ სასწავლო პროცესი. ინტერვიუებზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რაც ასახულია მასწავლებლბის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, და ასევე გამოჩნდა ინტერვიუების დროს. პედაგოგებმა ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ სხვადასხვა პროექტსა და ღონისძიებაში ჩართულობა, დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას ამ მიმართულებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

სკოლის კათედრების მიერ საგნობრივი საკითხები მკაფიოდაა განსაზღვრული , რაც მნიშნველოვანია ერთი მხრივ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებისთვის, მეორე მხრივ კი სწავლა-სწავლების ისეთ პრინციპების გასააქტიურებლად, როგორებიცაა - ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) მუშაობა და ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

კათედრის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ თემატური გეგმის შემადგენელი კომპონენტების არსი. მათი მსჯელობის თანახმად, ვინაიდან სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს კომპლექსური დავალებებით, თითოეული დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ საკითხების დამუშავება და ამგვარად საბოლოო პროდუქტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც. ყოველივე აღნიშნული დასტურდება დოკუმენტურად, მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ თემატურ გეგმებში/კურიკულუმებში და განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

საბაზო საფეხურზე შერჩეული თემები და საკითხები, რომლებიც მუშავდება თემატურ მატრიცებსა და კომპლექსურ დავალებებში მოსწავლეებს აძლევს საშუალებას განაზოგადონ მიღებული ცოდნა და დაუკავშირონ ის სხვადასხვა საგანში ნასწავლ/შესასწავლ მასალას და დაუკავშირონ პირად გამოცდილებას.პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირებისთვის საგნობრივი კურიკულუმების როლი, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ თვალსაზრისით. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ არსებული გამოცდილებით, ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას ახერხებდნენ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებით, რათა სხვადასხვა საგანში შეძენილი ცოდნა წარემართათ ერთი მიმართულებით. ვინაიდან 2023-2024 სასწავლო წელს სწავლა-სწავლების პროცესი აგებული იქნება კომპლექსური დავალებების განხორციელებაზე, ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება გაცილებით უფრო მარტივი იქნება, რადგანაც, როგორც თავად აღნიშნავენ, და მტკიცებულებებითაც დასტურდება, დავალების პირობის მიხედვით პროდუქტის მოსამზადებლად მოსწავლეს სჭირდება სხვადასხვა ცოდნის გამოყენება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- ინტერვიუები პედაგოგებთან

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სკოლის მიერ წარმოდგენილ, საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებში ჩანს , დროში გაწერილი გეგმა , თუ როგორ მოახდენენ,ესგ-ით გათვალისწინებულ ,საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით , სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას მოსწავლეებში ,მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა ამ ეტაპზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმები ,სასწავლო წლის დაწყებამდე , შეავსონ კომპლექსური დავალების იდეებითა და ამ დავალებების შესრულებისათვის საჭირო რესურსების მითითებით. სკოლის საბაზო კლასების მასწავლებლებს აქვთ მზაობა ამ მიმართულებით დახვეწონ და განივითარონ უნარები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

საბაზო საფეხურზე კათედრების მიერ წარმოდგენილ, განხორციელებულ აქტივობების, პროექტებისა და ინტეგრირებული გაკვეთილების ამსახველი მასალებიდან ჩანს, რომ საბაზო საფეხურზე საგნობრივი კონტექსტი ემსახურება არა მხოლოდ საკითხის შინაარსის შესწავლას, არამედ მოსწავლეთა ფსიქო ემოციურ განვითარებას სკოლაში იგრძნობა მოსწავლეთა პოზიტიური, მხარდამჭერი გარემო , მოსწავლეთა სპეციალური საჭიროების დადგენა და მათთვის შესაბამისი მომსახურების მიწოდებას სკოლა ახორციელებს ყველა წესის დაცვით. სკოლას ემსახურება ერთი სპეციალური მასწავლებელი . ამჟამად

სკოლაში არსებული საჭირო რესურსების ნაწილი - საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობა დასაწყობებულია ,არ ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია ,თუმცა სკოლაში მიმდინარეობდა შესაბამისი საქმიანობები ,ამ ეტაპზე გამოყოფილია სივრცე ლაბორატორიის მოსაწყობად . ექსპერტების რჩევაა დროულად დაასრულოს სკოლამ ეს პროცესი, რათა ხელმისაწვდომი გახდეს მოსწავლეთათვის ყველა საჭირო რესურსი. სკოლას ასევე აქვს სამკითხველო სივრცე და ბიბლიოთეკა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების წინაპირობაა, რადგან მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა და სასწავლო პროცესის შესაბამისად დაგეგმვა მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას შეუწყობს ხელს. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშებში ჩანს, რომ კათედრა შეფასების ფორმებსა და ინსტრუმენტებს გამოიყენებს მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარებისთვის. სკოლა იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევების ტაქსონომიას სამიზნე ცნების ფლობის დონის განსასაზღვრად. მოსწავლეებმა წინასწარ იციან, რომელ კომპონენტში და რამდენი ქულით შეფასდებიან. თითოეული თემისათვის, შემაჯამებელი დავალებებისათვის კათედრა შეიმუშავებს და დახვეწს განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, შეძლებისდაგვარად გააანალიზებს მოსწავლის განვითარების ყველა სფეროს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური. რაც, უპირველეს ყოვლისა, დასტურდება შეფასების რუბრიკების არსებობით. პედაგოგები სასწავლო წლის დასაწყისში ადგენენ და კათედრაზე განიხილავენ სხვადასხვა თემის/საკითხის, დავალების შეფასების რუბრიკებს, როგორც განმავითარებელს, ასევე განმსაზღვრელს, რომელთაც აცნობენ მოსწავლეებს. სკოლაში, მოსწავლეები თავად მონაწილეობენ სხვადასხვა აქტივობის შეფასების რუბრიკის შექმნაში. რუბრიკებში კრიტერიუმები აღებულია სტანდარტის ინდიკატორებიდან შეესაბამება ესგ-ს მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. მასში ასახულია მხოლოდ ის ცოდნა და უნარი, რომლის გაზომვაც არის დაგეგმილი. შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების კრიტერიუმების ღიაობა და ობიექტურობა ხელს უწყობს სკოლას ამ მიმართულებით სანდოობის მაღალი ხარისხი ჰქონდეს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სკოლის თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ სკოლას აქვს შემუშავებული ვერიფიკაციის ინსტრუმენტი, თუმცა აღნიშნული წარმოადგენს სამუშო ვერსიას და არის დამტკიცებული ბრძანებით.

მასწავლებლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია.
მასწავლებლებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შედეგების ანალიზი ხდება შემაჯამებელ სამუშაოებზე დაყრდნობით, ასევე დამრიგებლის ანგარიშის საფუძველზე. მასწავლებლების თქმით მოსწავლის მიღწევების ანალიზი არის სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი, რომელზე დაყრდნობითაც იგეგმება სასწავლო პროცესის განხორციელება, ამ დოკუმენტის შესაბამისად და ინტერვიუზე დაყრდნობით შეფასება რეგულარულად ეცნობება მშობელს. სასწავლო წლის დასაწყისში მშობლები ეცნობიან სასკოლო სასწავლო გეგმას, სკოლაში მოქმედ შეფასების სისტემას, ნიშნის ამაღლების წესს, სემესტრული გამოცდის დანიშვნის გზით და ა.შ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლა იცავს დოკუმენტის წარმოებისა და შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. მოსწავლეთა პირადი საქმეები ინახება სკოლაში, მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები ინახება მატერიალური სახით.
იქიდან გამომდინარე, რომ 2021-2022 სასწავლო წლიდან ელექტრონული ჟურნალების წარმოება სავალდებულოა, სისტემა გამორიცხავს შეფასებების ,,დაკარგვას". მოსწავლის შეფასებები დამრიგებლების მიერ აისახება პირად საქმეებში, რაც ექვემდებარება შენახვას გარკვეული პერიოდით, რომელიც სამ წელზე მეტია. დოკუმენტების შენახვისას სკოლა ითვალისწინებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ წესებს. სკოლა ინახავს: მოსწავლეთა პირად საქმეებს, ბრძანებებს; სამეურვეო და პედსაბჭოს სხდომის ოქმებს, კათედრის სხდომის ოქმებს, მოსწავლეთა შესრულებულ კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები და დიფერენცირებული მიდგომები. ასევე შეფასების ინსტრუმენტები მოსწვლეთა პიროვნული ზრდის საშუალებას აძლევა, კურიკულუმებში გათვალისწინებულია მათზე მორგებული კომპლექსური დავალებები. რომლებიც ყველა მოსწავლისათვის სწავლის თანაბარ შესაძლებლობას ქმნის. მოსწავლის ჰოლისტურად შეფასების წესები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და მხარდამჭერი სასწავლო პროცესის მაჩვენებელია. სსსმ მოსწავლეებისათვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც ისგ ჯგუფის მიერ პერიოდულად გადაიხედება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება. ასევე, სასწავლო შენობა ადაპტირებულია სსსმ და შშმ მოსწავლეთა საჭიროებებზე, ამრიგად სკოლა სასწავლო პროცესში ქმნის მოსწავლისათვის მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
წარმოდგენილი კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და წინარე გამოცდილებაზე. უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებასა და ჩართულობის გაზრდას. კონსტრუქტივისტული პრინციპების გათვალისწინება, არჩევითი დავალებების შეთავაზება, უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ როლს სასწავლო პროცესში.
ასევე, წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები მიმანიშნებელია იმისა, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია დაკვირვება აწარმოოს მოსწავლის პროგრესზე და მის საჭიროებაზე მორგებულად დაგეგმოს სასწავლო პროცესი, უზრუნველყოს პროდუქტის, დავალების, აქტივობის დიფერენცირება, გაზარდოს ან შეამციროს დავალებაზე მუშაობისათვის საჭირო დრო, მოამზადოს თვალსაჩინო მასალა და სხვა. მასწავლებლები დამატებითი არაფორმალური აქტივობების თემების შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს და საჭიროებებს, რაც საშუალებას იძლევა სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლეზე ორიენტირებულად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
დაგეგმილი კურიკულუმები მიზანმიმართულია მოსწავლეთა გლობალური ფუნქციური უნარების, მათ შორის კოლაბორაციისა და კომუნიკაციის უნარების განვითარებაზე. გასაუბრებებიდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება სასწავლო პროცესში სხვადასხვა აქტივობები ისე წარმართონ, რომ შეიქმნას პოზიტიური თანამშრომლობითი გარემო.
სკოლაში დამკვიდრებული თანამშრომლობითი კულტურა შესაძლებლობას ქმნის ერთობლივად განისაზღვროს წარმატებების წინაპირობები და პრობლემების გადაჭრის გზები, ასევე წარიმართოს სხვა საგნობრივ კათედრებთან

კოორდინირებული მუშაობა. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის სხვადასხვა პერსპექტივიდან ჩართვას კურიკულუმის შემუშავებაში. სკოლისთვის დამახასიათებელი თანამშრომლობა და გუნდურობა სკოლას აქცევს მოსწავლეზე ორინეტირებული გადაწყვეტილებების მიმღებ დაწესებულებად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

კურიკულუმებში მოცემული საკითხები შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში. განმავითარებელი შეფასებებისა და კომენტარების საშუალებით კი ხდება მოსწავლეთა მხარდაჭერა სასწავლო პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევაში. მასწავლებლებს კარგად აქვთ გაცნობიერებული კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარების, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრისა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიების, სხვა საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობის აუცილებლობა, რომ სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევებისა და პრობლემების გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია არა ერთი ან ორი პედაგოგის ჩართულობა არამედ იმ გუნდის რომელსაც მთლიანი სასკოლო საზოგადოება წარმოადგენს.
წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამებიდან იკვეთება, რომ მუდმივი ზრუნვის საგანია პოზიტიური კლიმატის შენარჩუნება კლასის დონეზე რაც თავისთავად შემდგომ პოზიტიურ ასახვას ჰპოვებს სკოლის დონეზეც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- სადამრიგბლო პროგრამები
- ინდ.გეგმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
სკოლას კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიით განსაზღვრული აქვს მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებსა და დირექციის ინტენსიური თანამშრომლობით პროცესებზე დაკვირვებასა და შედეგების ანალიზთან.
კურიკულუმის განვითარება თავისთავად წარმოადგენს ციკლურ პროცესს, რადგან , მეთოდოლოგიის მიხედვით, ჯერ ხდება მისი დაგეგმვა, რასაც მოსდევს განხორციელება და მონიტოინგი /შეფასება გადაგეგმვა.
სკოლის არსებული პრაქტიკა და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია იძლევა საშუალებას ვთქვათ, რომ მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგისა და შეფასებასებისას უნდა გამოიკვეთოს რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესში სკოლა მოიაზრებს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას, მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების დადგენას. კერძოდ, სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრება და გამოცდილების გაზიარება. კათედრები სემესტრის ბოლო შემაჯამებელ

სხდომებზე აჯამებენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზების შედეგებს, დირექციის წარმომადგენლები აკვირდებიან სასწავლო პროცესს და მოსწავლეთა შედეგების დინამიკას სემესტრულად. დაკვირვების/მონიტორინგის შედეგად მიღებული შედეგების გამოყენება ხდება სასკოლო საზოგადოების მხარდასაჭერად. მასწავლებლების შემთხვევაში ეს გამოიხატება გამოცდილების გაზიარების, სასწავლო ჯგუფებში მუშაობის და ტრენინგებსა და ვებინარებში მონაწილეობის (გამოვლენილი საჭიროებიდან გამომდინარე) მხარდაჭერაში დირექციის მხრიდან, მოსწავლეების შემთხვევაში ეს არის რემედიაციის პროგრამა და დიფერენცირებული სწავლება. სკოლაში არსებობს დაგეგმილი პროცესების შესრულებაზე პასუხისმგებლობის განაწილების კულტურა. ისინი გამოხატავენ მზაობას წარსულის გამოცდილებაზე დაყრდნობით გააუმჯობესონ სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის განაწილების დაგეგმვა, რათა მოახერხონ დაგეგმილი პროცესების შესრულება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.
გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესში დგინდება სწავლის პროცესში არსებული ხარვეზები, პედაგოგიურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემები, სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები. შეფასების პროცესის სწორი წარმართვა განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.
სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გამოიყენება ერთის მხრივ როგორც პრობლემი გადაჭრის, და მეორეს მხრივ როგორც რეკომენდაციების პაკეტის შემუშავების საშუალება, რომელიც გამოყენებული იქნება ახალ სასწავლო წელს უკეთესი სასწავლო შედეგების მისაღებად. დირექციის წარმომადგენლები ყველა სტატუსის მქონე მასწავლებელს ესწრებიან კანონმდებლობით განსაზღვრული წესით და ადგენენ მათ საჭიროებას, აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს, ეხმარებიან სირთულეების დაძლევაში, რაშიც მათ სკოლაში დამკვიდრებული თანამშრომლობითი კულტურა ეხმარებათ. კათედრები კი მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების შეკრებებზე გეგმავენ გაკვეთილებს, ატარებენ და შემდეგ განიხილავენ შედეგებს და სახავენ განვითარების გზებს. როგორც ჩანს, სკოლაში სასწავლო პროცესზე დაკვირვების სხვადასხვა მიმართულების მიზანი ერთია, მოახდინოს შეფასება, გამოავლინონ საჭიროება და ერთობლივად განსაზღვრონ პრობლემის გადაჭრის გზა.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრების ოქმები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
არსებული კურიკულუმი ეყრდნობა განხორციელებული პროექტებისა და აქტივობების რეფლექსიებს, კათედრათა წლიური მუშაობის ანალიზებს. შეფასების პროცესის ეფექტურობისათვის საბაზო საფეხურის კურიკულუმი ეყრდნობა ისეთ წყაროებს, როგორიცაა: მასწავლებელთა და მოსწავლეთა თვითშეფასებები, ურთიერთშეფასებები, მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი. ასევე, შეფასებები სოლო ტაქსონომიაზე დაყრდნობით. აანალიზებენ მოსწავლეთა მიერ შესრულებულ სამუშაოებს. მომავალი სასწავლო წლისათვის იგეგმება ანალიზისთვის საჭირო მექანიზმის შემუშავება, კომპლექსური დავალებების სოლო ტაქსონომიით შეფასება, რაც სასწავლო პროცესის წინსვლისა და განვითარების მთლიან სურათს თვალსაჩინოს გახდის. კათედრის მიერ გაწერილ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები, არსებული შეფასების რუბრიკები, ასევე, კათედრასთან ინტერვიუს დროს პედაგოგების მიერ აღნიშნული ფაქტები იმის შესახებ, რომ მოსწავლეები ჩართულები არიან სხვადასხვა სახის აქტივობებში, რომ მასწავლებელთა შეხედულება და შემდგომ მათი შეფასება ხდება მოსწავლეზე მრავალფეროვანი წყაროებიდან: სხვა პედაგოგებიდან, თანატოლებიდან, მშობლებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ადასტურებს რომ შეფასება ეყრდნობა სხვადასხვა, მრავალფეროვან საშუალებებს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
წარმოდგენილი კურიკულუმი მოიაზრებს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე დაკვირვებასა და შეფასებას. ამისათვის გასათვალისწინებელია მრავალი კონტექსტი, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური მიმართულებით განხორციელებული აქტივობების შეფასება. კათედრაზე შეხვედრისას მასწავლებლებმა ისაუბრეს იმაზე, რომ ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად გამოყენებისკენ. მათ ამით იხელმძღვანელეს კურიკულუმების შედგენის პროცესში და განსაზღვრეს კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები, შეიმუშავეს შეფასების რუბრიკები. ახალ კურიკულუმში დიფერენცირებული

მიდგომების დამკვიდრებასთან ერთად იგეგმება შეფასების რუბრიკების მისადაგება სწავლების აღნიშნულ მეთოდთან.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
მასწავლებლებთან გასაუბრებებისას მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ შეფასებისთვის გამოიყენებენ როგორც განმსაზღვრელ ასევე განმავითარებელ შეფასებას, რაც დასტურდება სკოლის მიერ მოწოდებული მომავალი წლის განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუნრიკებით, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი, რომ მოსწავლეები შეფასდებიან გრძელვადიან მიზნებზე ცნებებზე, შედეგებზე დაყრდნობით, ასევე სკოლის მიერ მოწოდებულ კურიკულუმებში ასახული შუალედური(საკითხები, თემები, კომპლექსური დავალების იდეა) და გრძელვადიანი(ცნებები, შედეგები) მიზნებიდან და კურიკულუმებში ასახული სკოლის მიერ მოწოდებული კომპლექსური დავალებების სრული(ინსტრუქციით) ნიმუშებიდან გამომდინარე (სადაც ასევე მკაფიოდ არის გამოკვეთილი თუ რის მიხედვით უნდა შეფასდეს მოსწავლე განმავითარებელი შეფასებით) ვფიქრობ, რომ მომავალ სასწავლო წელს შეფასებისას გამოყენებული იქნება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

მასწავლებლებთან გასაუბრებებისას მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ შეფასებისთვის გამოიყენებენ როგორც განმსაზღვრელ ასევე განმავითარებელ შეფასებას, რაც დასტურდება სკოლის მიერ მოწოდებული მომავალი წლის განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუნრიკებით, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი, რომ მოსწავლეები შეფასდებიან გრძელვადიან მიზნებზე ცნებებზე, შედეგებზე დაყრდნობით, ასევე სკოლის მიერ მოწოდებულ კურიკულუმებში ასახული შუალედური(საკითხები, თემები, კომპლექსური დავალების იდეა) და გრძელვადიანი(ცნებები, შედეგები) მიზნებიდან და კურიკულუმებში ასახული სკოლის მიერ მოწოდებული კომპლექსური დავალებების სრული(ინსტრუქციით) ნიმუშებიდან გამომდინარე (სადაც ასევე მკაფიოდ არის გამოკვეთილი თუ რის მიხედვით უნდა შეფასდეს მოსწავლე განმავითარებელი შეფასებით) შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მომავალ სასწავლო წელს შეფასება განხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

…დასტურდება (მტკიცებულებები):
- *კურიკულუმები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
სკოლის მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმიდან გამომდინარე კურიკულუმის განვითარებას მუდიმავად ახდენენ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. თუმცა ამ მხრივ მნიშვნელოვანია სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტის გამოყენება, რის საფუძველზეც მოხდეს კურკულუმში ცვლილებების შეტანა მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. ასევე მიმდინარე წლის კურკულუმიდან გამომდინარე გამოკვეთილი საჭიროებები აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ახალი სასწავლო წლის ფარგლებში კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რაზე მუშაობაც პედაგოგებს უკვე დაწყებული აქვთ.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე; გასაუბრების შედეგებიდან გამოიკვეთა, რომ ახალი სასწავლო წლისთვის იგეგმება კურკულუმის რევიზია/განახლება მათ შორის უკვე შექმნილი კურკულუმის ჩარჩოების, რომელშიც გათვალისწინებული იქნება წინარე გამოცდილება.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *გადამუშავებული კურიკულუმი.*
- *სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	*ხარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	საშუალო -უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრამ თანამშრომლობის პრინციპით ყურადღებით განიხილოს მეორე უცხოური ენის საგნობრივი კურიკულუმები, მაქსიმალურად

		დაუახლოვოს მოთხოვნილ ცხრილს, სადაც გაწერილი იქნება სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, კონტექსტ-მაგალითი, რესურსები და ა.შ.
ინდიკატორი N2.1.2.4	*საშუალო - სახელმწიფო ენა*	შექმნან კურიკულუმში შეტანილი თემების შესაბამისი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	**☒შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი - (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2022-2023 სასწავლო წელს საგნობრივმა კათედრებმა ავტორიზაციის მიმდინარეობის პერიოდში ქოუჩებთან გავლილი კონსულტაციების შედეგად შეიმუშავეს კურიკულუმების ჩარჩოები, რომლებშიც გაიწერა მიმდინარე თუ სამომავლო სასწავლო პროგრამა, რესურსები და აქტივობები. საშუალო საფეხურის კათედრებზე პედაგოგებმა განიხილეს გასულ სასწავლო წელს მოსწავლეების მიღწევები, სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი და შუალედური მიზნები, სტანდარტები და მასში შესული ცვლილებები. უკვე ჩატარებულ და ბანკის მიერ შემოთავაზებულ კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით შემუშავდა კურიკულუმების პირველადი ვერსია, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა სკოლის ადმინისტრაციას. კათედრების წევრები ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე სასწავლო წლის ბოლოს აანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს (შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებები, სასკოლო პროექტები, მშობელთა ჩართულობები), განიხილავენ მოსწავლეთა ტიპურ საჭიროებებს, შესაძლებლობებს და გეგმავენ მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმას, რომელიც ემსახურება სკოლის მისიის შესრულებას. მათ აქვთ ხედვა, თუ როგორაა შესაძლებელი ამ კომპონენტის გაძლიერება. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოვლინდა, რომ ისინი სამომავლოდ გეგმავენ უფრო მეტად დააკვირდნენ სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეთა, მშობელთა...) ინტერესებს, გამოკითხვებითა და კვლევით დაადგინონ ეს საჭიროებები და შემდეგ ასახონ კურიკულუმში. მშობელთა და მოსწავლეთა მხრიდან გაკეთებული უკუკავშირებით, რეფლექსიებით გამოკვეთილი გამოწვევები და მიღწევები, განმავითარებელი შეფასების სისტემა, არაფორმალური და ფორმალური განათლების ინტერვენციები ბუნებრივად უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების კურიკულუმში ასახვას. სკოლას შექმნილი და წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშვების მეთოდოლოგია, თუმცა აღნიშნული არ არის დამტკიცებული ბრძანებით. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და დოკუმენტი კურიკუუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

კურიკულუმებში ნაწილობრივ ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ამ შემთხვევაში იგულისხმება მოსწავლისა და მასწავლებლის გარდა, საზოგადოების სხვა წევრების ინტერესები. სასწავლო პროექტები და მშობელთა ჩართულობა

შესაძლებლობას იძლევა, რომ კურიკულუმის შედგენისას დაიგეგმოს და სწავლების ნაწილად იქცეს სასკოლო საზოგადოების ინტერესებიც. მასწავლებლები გამოცდილებაზე დაყრდნობით მუშაობენ კურიკულუმებში შესატან ცვლილებებზე, რათა მოხდეს წინა წლის შედეგების გაუმჯობესება. ნებისმიერი მოსწავლის მშობელს შეუძლია დაესწროს გაკვეთილებს და დააკვირდეს, როგორ არის ჩართული მისი შვილი სწავლა-სწავლების პროცესში, საგაკვეთილო გარემოში. მშობლები გარკვეულ უკუკავშირს იძლევიან სკოლისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ კათედრებზე. სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმების შედგენაში მონაწილეობა მიიღო კათედრის ყველა წევრმა. კათედრებმა შეადგინეს კურიკულუმების ჩარჩო დოკუმენტი თითოეული კლასისათვის ცალ-ცალკე, შეათანხმეს განსახორციელებელი კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებები, შეარჩიეს დიაგნოსტირების ინსტრუმენტები საგნების მიხედვით, შეთანხმდნენ განმავითარებელი შეფასების ფორმებზე და სხვა. კურიკულუმების შემუშავებაში საზოგადოების სხვა წევრებს (მოსწავლეებს, მშობლებს) უშუალოდ არ მიუღიათ მონაწილეობა, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შედგენისას იგეგმება გაითვალისწინონ მათი ინტერესებიც. საგნობრივი კათედრის მასწავლებლები თანხმდებიან თემებისა და ძირითადი საკითხების განაწილებაზე. კურიკულუმებში გათვალისწინებულია ისგ-ები, რომელიც ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იქმნება ისგ-ს ჯგუფის მიერ. კურიკულუმები შემუშავებულია მასწავლებლების და დირექტორის მონაწილეობით, რომელსაც სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე, ვინაიდან ორიენტირი გაკეთებულია საბოლოო შედეგებზე, რომლებიც მიიღწევა საფეხურის ბოლოს, მასწავლებელს შესაძლებლობას მისცემს მიმდინარე წელს არსებული ხარვეზები ან/და გამოწვევები აღმოფხვრას შემდეგ სასწავლო წელს. შესრულებული კომპლექსური დავალებების შედეგად გამოკვეთილი ინტერესები, საჭიროებები და მიღებული ცოდნა კი გათვალისწინებული იქნება სამომავლოდ კურიკულუმების საბოლოო ვერსიების შესადგენად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

სკოლაში ახალი დაწყებულია პროცესები, რომელიც მიმართულია სასკოლო საზოგადოებისათვის კურიკულუმების გაზიარებისაკენ. მშობლებთან კურიკულუმის გაზიარებისთვის სკოლა გამოიყენებს მშობლებთან პირისპირ შეხვედრებს და სოციალურ ქსელებს, სკოლის ვებგვერდს, Teams-ის პლატფორმას. დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან გააქტიუროს მოსწავლეებთან და მშობლებთან სათანადო კომუნიკაცია და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა. სკოლა ფიქრობს, დაგეგმოს მიზნობრივი შეხვედრები მშობლებთან, მათი მოწვევა სკოლაში და კომპლექსური დავალებების პრეზენტაციებზე დასწრება. ვინაიდან, კურიკულუმების სისტემა ახალია და სასკოლო საზოგადოებისათვის გაზიარებისა და გააზრების პროცესს, სწორი მიდგომების განსაზღვრას სჭირდება დრო, სკოლა გეგმავს, რომ ტრენინგებზე დასწრებითა და კონსულტაციების გავლის შედეგად მაქსიმალურად უზრუნველყოს აღნიშნული პროცესის გამართულობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *საშუალო საფეხურის კურიკულუმები*
2. *ერთწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა*

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

კურიკულუმში წარმოდგენილი თემები, თემების შესაბამისი საკითხები და საკითხთა კლასტერი, კომპლექსური დავალებები, საგანმანათლებლო აქტივობები, რესურსები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე. რაც კარგად ჩანს მე-10, მე-12 კლასის კურიკულუმებში. გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ საშუალო საფეხურის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რომ კურიკულუმი არის მოსწავლზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზა. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო წლის დაწყებამდე დაიხვეწება კურიკულუმები, სრულად შეივსება და შეიქმნება მე-11 კლასის კურიკულუმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

წარმოდგენილ კურიკულუმებში სამიზნე ცნებები (ქვეცნებები), თემები, საკითხები, რესურსები იძლევა შესაძლებლობას პროცესი იყოს ორიენტირებული ფუნქციურ კომპონენტურ უნარებზე, კერძოდ მე-10 კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეა ელექტროენერგიის ეფექტურ გამოყენებაზე მიემართება შემდეგ ფუნქციურ უნარებს: შემოქმედობითობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ნებელობა. ასევე სხვა კომპლექსური ბუნების დავალებებში სხვადასხვა კლასებისათვის.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

კურიკულუმში გათვალისწინებული კომპლექსური დავალებების პირობა , კრიტერიუმები და აქტივობები ფორმულირებულია ისე რომ ფარავს ცოდნის სამივე კატეგორიას და აგებულია მარტივიდან რთულისკენ. გათვლილია სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის. გარდა ამისა კომპლექსური დავალების წარმოდგენილი ნიმუშები მოსწავლეს აძლევს აირჩიოს მისთვის სასურველი შემოქმედებითი პროდუქტის ფორმა, რაც დიფერენცირებული მიდგომის ელემენტებია. დამატებითი ინფორმაციისა და დეტალების მოძიება შესაძლებელი გახადა ვიზიტის დროს პედაგოგთა უკუკავშირით. პედაგოგებმა აღნიშნეს რომ მოსწავლის სწავლის პროცესს აკვირდებიან, მონაცემებს აგროვებენ, მათი ანალიზის საფუძველზე კი მოსწავლის საჭიროებებსა და ძლიერ მხარეებს ადგენენ, მოსწავლის სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად. საშუალო საფეხურზე სკოლა მიზნად ისახავს სწავლებაში ინკლუზიურ მიდგომებს, რაც მკაფიოდ იკითხება სამიზნე ცნებებზე ორიენტირებულ მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიღწევის ტაქსონომიის მიხედვით. (10 კლასი) ასევე წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრუკა, სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით. შეფასების რუბრიკები ზოგად წარმოდგენას ქმნის სკოლის ფარგლებში შეფასების აღნიშნული ტიპის წარმოების წესზე. შეფასების ორივე ტიპი ეყრდნობა სტანდარტით გათვალისწინებულ მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება როგორც შუალედურ ასევე გრძელვადიან მიზნებს. განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ისეა ჩამოყალიბებული რომ ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მიმდინარეობას სხვადასხვა სახის მეთოდური ორიენტირების გამოკვეთას. გულისხმობს

მოსწავლის მხრიდან შესრულებული სამუშაოს აღწერას და წარმოდგენილი ნაშრომის გასიტყვებას და შეფასებას. კერძოდ, მე-10 კლასი. თემა: ფუნქცია დამოკიდებულება, კომპლექსური დავალება „ელექტროენერგიის ხარჯი და გადასახადი“ **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

წარმოდგენილი კურიკულუმები აგებულია იმგვარად რომ მასში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი, რაც სკოლაში არსებულ გამოწვევებსა და მიგნებებს ეყრდნობა. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ კურიკულუმის შევსებისას თანამშრომლობენ კათედრაზე. გაითვალისწინეს საგნის სწავლების წარმატებული გამოცდილება და ასახეს კურიკულუმის ჩარჩოში. სკოლა ასევე გეგმავს, შემდგომში მეტად ხელმისაწვდომი გახადოს და გააზიაროს კურიკულუმის დანერგვის პროცესები, რათა უფრო ეფექტური გახდეს წინარე გამოცდილებაზე დაფუძნებული კურიკულუმის შემუშავება, გათვალისწინებული და რეალიზებული იქნას კომპლექსური დავალების პირობისა და დაფარვის ეტაპებზე განსაზღვრული აქტივობების გამოცდილება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები საშუალო საფეხურის
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
-

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში საშუალო საფეხურზე გამოიყენება სწავლა სწავლების ინტერაქტიული მეთოდები. კათედრების მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კერძოდ, კურიკულუმების ჩარჩო დოკუმენტებში ორიენტირება ხდება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, წარმოდგენილია თემატური ბლოკების მიხედვით თემები, თემებთან დაკავშირებული საკითხი, გამოყოფილია სამიზნე ცნებები და ის ქვეცნებები, რომელიბიც მუშავდება საკითხთან და თემასთან მიმართებით, წინასწარაა გაწერილი კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისადაა შერჩეული. საშუალო საფეხურზე პროექტული სწავლების, ასევე თემატური ბლოკების /თემებისა და საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას მასწავლებელები ცდილობენ გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინტერესები და აქედან გამომდინარე ცდილობენ დაგეგმონ აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას, მოსწავლეებს აქვთ საშუალება იმსჯელონ, იფიქრონ და მოიძიონ პრობლემის გადაჭრის გზები, გეგმავენ და შემდეგ ახორციელებენ სხვადასხვა მიზნობრივ ქმედებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

სკოლის კათედრების მიერ წარმოდგენილ მასალაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ სკოლას ნათლად აქვს გამოკვეთილი გრძელვადიანი მიზნები და მისკენ მისასვლელი შუალედური მიზნები კომპლექსური დავალებებისა და ინტეგრირებული

პროექტების სახით. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა გრძელვადიან მიზნების მიღწევის სტრატეგია და მეთოდოლოგია.
საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვითა და მასწავლებლებთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილია საგნობრივი კათედრების მიერ თანამშრომლობის საფუძველზე. პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებას, ინტერესებს, ეხმარებიან მოსწავლეებს არსებული ცოდნის ახალთან დაკავშირებაში, სწავლა-სწავლებას უკავშირებენ ნაცნობ კონტექსტებს, თემას, შემდეგ აორგანიზებენ და ცდილობენ მოახდინონ ინტეგრირება სხვა ნაცნობ თემასთან, საკითხთან, საგანთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში შეთავაზებულია ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებმაც მოსწავლეები უნდა დააფიქროს სწავლის პროცესზე და წაახალისოს მეტაკოგნიცია. ეს უზრუნველყოფს, რომ სწავლის პროცესში აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე. კომპლექსური დავალებების მრავლფეროვანი არჩევანი საშუალებას იძლევა, დავალების შესრულების სხვადასხვა ეტაპებზე, მოსწავლეებმა განსხვავებული მეთოდი და სტრატეგია გამოიყენონ და თვითონ დაგეგმონ სასწავლო პროცესი.სავალდებულო პროექტული სწავლება მოსწავლეებს კვლევის უნარებს უნვითარებს და შესაძლებლობას აძლევს ერთი საგნის ფარგლებში რამდენიმე საგნის კონტექსტის გააზრებას.

ინდიკატორი 4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

სკოლის საგნობრივი კათედრების მიერ საკითხები მკაფიოდაა განსაზღვრული , რაც მნიშნველოვანია ერთი მხრივ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებისთვის, მეორე მხრივ კი სწავლა-სწავლების ისეთ პრინციპების გასააქტიურებლად, როგორებიცაა - ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) მუშაობა და ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.
კათედრის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ თემატური გეგმის, პროექტული სწავლების შემადგენელი კომპონენტების არსი. მათი მსჯელობის თანახმად, ვინაიდან სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს კომპლექსური დავალებებით, თითოეული დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ საკითხების დამუშავება და ამგვარად საბოლოო პროდუქტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც. ყოველივე აღნიშნული დასტურდება დოკუმენტურად, მასწავლებლების მიერ

წარმოდგენილ თემატურ გეგმებში/კურიკულუმებში და განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

საშუალო საფეხურზე შერჩეული თემები და საკითხები, რომლებიც მუშავდება თემატურ მატრიცებსა და კომპლექსურ დავალებებში მოსწავლეებს აძლევს საშუალებას განაზოგადონ მიღებული ცოდნა და დაუკავშირონ ის სხვადასხვა საგანში ნასწავლ/შესასწავლ მასალას და დაუკავშირონ პირად გამოცდილებას.პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირებისთვის საგნობრივი კურიკულუმების როლი, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ თვალსაზრისით. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ არსებული გამოცდილებით, ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას ახერხებდნენ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებით,პროექტული სწავლებით რათა სხვადასხვა საგანში შეძენილი ცოდნა წარემართათ ერთი მიმართულებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- ინტერვიუ

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სკოლის მიერ წარმოდგენილ,საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებში ჩანს , დროში გაწერილი გეგმა, თუ როგორ მოახდენენ,ესგ-ით გათვალისწინებულ ,საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით , სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას მოსწავლეებში ,მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა ამ ეტაპზე, წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმები ,სასწავლო წლის დაწყებამდე შეავსონ კომპლექსური დავალების იდეებითა და ამ დავაებების შესრულებისათვის საჭირო რესურსების მითითებით. სკოლის საშუალო საფეხურის მასწავლებლებს აქვთ მზაობა ამ მიმართულებით დახვეწონ და განივითარონ უნარები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

საშუალო საფეხურზე კათედრების მიერ წარმოდგენილ, განხორციელებულ აქტივობების, პროექტებისა და ინტეგრირებული გაკვეთილების ამსახველი მასალებიდან ჩანს, რომ საშუალო საფეხურზე საგნობრივი კონტექსტი ემსახურება არა მხოლოდ საკითხის შინაარსის შესწავლას, არამედ მოსწავლეთა ფსიქო ემოციურ განვითარებას სკოლაში იგრძნობა მოსწავლეთა პოზიტიური, მხარდამჭერი გარემო , მოსწავლეთა სპეციალური საჭიროების დადგენა და მათთვის შესაბამისი მომსახურების მიწოდებას სკოლა ახორციელებს ყველა წესის დაცვით. სკოლას ემსახურება ერთი სპეციალური მასწავლებელი . ამჟამად სკოლაში არსებული საჭირო რესურსების ნაწილი - საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობა დასაწყობებულია არ ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია ,თუმცა სკოლაში მიმდინარეობდა შესაბამისი საქმიანობები ,ამ ეტაპზე გამოყოფილია სივრცე ლაბორატორიის მოსაწყობად . ექსპერტების რჩევაა დროულად დაასრულოს სკოლამ ეს პროცესი ,რათა ხელმისაწვდომი გახდეს მოსწავლეთათვის ყველა საჭირო რესურსი. სკოლას ასევე აქვს სამკითხველო სივრცე და ბიბლიოთეკა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სწორად იაზრებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მიზნებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში ასახულია ცოდნის კონსტრუირების დინამიკა დეკლარაციული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე . მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების მიზნით მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს, ამ ინსტრუმენტების გამოყენებით თვალს ადევნებენ მოსწავლის განვითარების პროცესს მთელი სემესტრის განმავლობაში, იღებენ ინფორმაციას მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეებისა და მოსწავლეთა

საჭიროებების შესახებ. მასწავლებლებმა წარმოადგინეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები მიემართება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს ცნების მიხედვით და ითვალისწინებს მოსწავლის მრავალმხრივ შეფასებას. ასევე ინტერვიუირებისას აღნიშნეს , რომ ფლობენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს და წარმატებით იყენებენ პრაქტიკაში და ახალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ გამოწვევის შესაბამისად რუბრიკების შექმნას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური. რაც, უპირველეს ყოვლისა, დასტურდება შეფასების რუბრიკების არსებობით. პედაგოგები სასწავლო წლის დასაწყისში ადგენენ და კათედრაზე განიხილავენ სხვადასხვა თემის/საკითხის, დავალების შეფასების რუბრიკებს, როგორც განმავითარებელს ასევე გენმსაზღვრელს, რომელთაც აცნობენ მოსწავლეებს. სკოლაში, მოსწავლეები თავად მონაწილეობენ სხვადასხვა აქტივობის შეფასების რუბრიკის შექმნაში. რუბრიკებში კრიტერიუმები აღებულია სტანდარტის ინდიკატორებიდან . შეესაბამება ესგ-ს მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. მასში ასახულია მხოლოდ ის ცოდნა და უნარი, რომლის გაზომვაც არის დაგეგმილი. შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების კრიტერიუმების ღიაობა და ობიქტურობა ხელს უწყობს სკოლას ამ მიმართულებით სანდოობის მაღალი ხარისხი ჰქონდეს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სკოლის თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ სკოლას აქვს შემუშავებული ვერიფიკაციის ინსტრუმენტი, თუმცა აღნიშნული წარმოადგენს სამუშო ვერსიას და არის დამტკიცებული ბრძანებით.
მასწავლებლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია.
მასწავლებლებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შედეგების ანალიზი ხდება შემაჯამებელ სამუშაოებზე დაყრდნობით, ასევე დამრიგებლის ანგარიშის საფუძველზე. მასწავლებლების თქმით მოსწავლის მიღწევების ანალიზი არის სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი, რომელზე დაყრდნობითაც იგეგმება სასწავლო პროცესის განხორციელება, ამ დოკუმენტის შესაბამისად და ინტერვიუზე დაყრდნობით შეფასება რეგულარულად ეცნობება მშობელს. სასწავლო წლის დასაწყისში მშობლები ეცნობიან სასკოლო სასწავლო გეგმას, სკოლაში მოქმედ შეფასების სისტემას, ნიშნის ამაღლების წესს, სემესტრული გამოცდის დანიშვნის გზით და ა.შ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლა იცავს დოკუმენტის წარმოებისა და შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. მოსწავლეთა პირადი საქმეები ინახება სკოლაში, მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები ინახება მატერიალური სახით.
იქიდან გამომდინარე, რომ 2021-2022 სასწავლო წლიდან ელექტრონული ჟურნალების წარმოება სავალდებულოა, სისტემა გამორიცხავს შეფასებების ,,დაკარგვას". მოსწავლის შეფასებები დამრიგებლების მიერ აისახება პირად საქმეებში, რაც ექვემდებარება შენახვას გარკვეული პერიოდით, რომელიც სამ წელზე მეტია. დოკუმენტების შენახვისას სკოლა ითვალისწინებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ წესებს. სკოლა ინახავს: მოსწავლეთა პირად საქმეებს, ბრძანებებს; სამეურვეო და პედსაბჭოს სხდომის ოქმებს, კათედრის სხდომის ოქმებს, მოსწავლეთა შესრულებულ კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები და დიფერენცირებული მიდგომები. ასევე შეფასების ინსტრუმენტები მოსწვლეთა პიროვნული ზრდის საშუალებას აძლევა, კურიკულუმებში გათვალისწინებულია მათზე მორგებული კომპლექსური დავალებები. რომლებიც ყველა მოსწავლისათვის სწავლის თანაბარ შესაძლებლობას ქმნის.

მოსწავლის ჰოლისტურად შეფასების წესები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და მხარდამჭერი სასწავლო პროცესის მაჩვენებელია. სსსმ მოსწავლეებისათვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც ისგ ჯგუფის მიერ პერიოდულად გადაიხედება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება. ასევე, სასწავლო შენობა ადაპტირებულია სსსმ და შშმ მოსწავლეთა საჭიროებებზე, ამრიგად სკოლა სასწავლო პროცესში ქმნის მოსწავლისათვის მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულიაინდიკატორი 2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

წარმოდგენილი კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და წინარე გამოცდილებაზე. უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებასა და ჩართულობის გაზრდას. კონსტრუქტივისტული პრინციპების გათვალისწინება, არჩევითი დავალებების შეთავაზება, უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ როლს სასწავლო პროცესში.

ასევე, წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები მიმანიშნებელია იმისა, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია დაკვირვება აწარმოოს მოსწავლის პროგრესზე და მის საჭიროებაზე მორგებულად დაგეგმოს სასწავლო პროცესი, უზრუნველყოს პროდუქტის, დავალების, აქტივობის დიფერენცირება, გაზარდოს ან შეამციროს დავალებაზე მუშაობისათვის საჭირო დრო, მოამზადოს თვალსაჩინო მასალა და სხვა. მასწავლებლები დამატებითი არაფორმალური აქტივობების თემების შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს და საჭიროებებს, რაც საშუალებას იძლევა სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლეზე ორიენტირებულად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

დაგეგმილი კურიკულუმები მიზანმიმართულია მოსწავლეთა გლობალური ფუნქციური უნარების, მათ შორის კოლაბორაციისა და კომუნიკაციის უნარების განვითარებაზე. გასაუბრებებიდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება სასწავლო პროცესში სხვადასხვა აქტივობები ისე წარმართონ, რომ შეიქმნას პოზიტიური თანამშრომლობითი გარემო.

სკოლაში დამკვიდრებული თანამშრომლობითი კულტურა შესაძლებლობას ქმნის ერთობლივად განისაზღვროს წარმატებების წინაპირობები და პრობლემების გადაჭრის გზები, ასევე წარიმართოს სხვა საგნობრივ კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის სხვადასხვა პერსპექტივიდან ჩართვას კურიკულუმის შემუშავებაში. სკოლისთვის დამახასიათებელი თანამშრომლობა და გუნდურობა სკოლას აქცევს მოსწვალეზე ორინეტირებული გადაწყვეტილებების მიმღებ დაწესებულებად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ინდიკატორი 4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

კურიკულუმებში მოცემული საკითხები შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში. განმავითარებელი შეფასებებისა და კომენტარების საშუალებით კი ხდება

მოსწავლეთა მხარდაჭერა სასწავლო პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევაში. მასწავლებლებს კარგად აქვთ გაცნობიერებული კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარების, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრისა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიების, სხვა საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობის აუცილებლობა, რომ სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევებისა და პრობლემების გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია არა ერთი ან ორი პედაგოგის ჩართულობა არამედ იმ გუნდის რომელსაც მთლიანი სასკოლო საზოგადოება წარმოადგენს.
წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამებიდან იკვეთება , რომ მუდმივი ზრუნვის საგანია პოზიტიური კლიმატის შენარჩუნება კლასის დონეზე რაც თავისთავად შემდგომ პოზიტიურ ასახვას ჰპოვებს სკოლის დონეზეც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- სადამრიგბლო პროგრამები
- ინდ.გეგმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

3.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

სკოლას კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიით განსაზღვრული აქვს მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებსა და დირექციის ინტენსიური თანამშრომლობით პროცესებზე დაკვირვებასა და შედეგების ანალიზთან.
კურიკულუმის განვითარება თავისთავად წარმოადგენს ციკლურ პროცესს, რადგან , მეთოდოლოგიის მიხედვით, ჯერ ხდება მისი დაგეგმვა, რასაც მოსდევს განხორციელება და მონიტოინგი /შეფასება გადაგეგმვა.
სკოლის არსებული პრაქტიკა და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია იძლევა საშუალებას ვთქვათ, რომ მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგისა და შეფასებასებისას უნდა გამოიკვეთოს რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესში სკოლა მოიაზრებს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას, მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების დადგენას. კერძოდ, სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრება და გამოცდილების გაზიარება. კათედრები სემესტრის ბოლო შემაჯამებელ სხდომებზე აჯამებენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზების შედეგებს, დირექციის წარმომადგენლები აკვირდებიან სასწავლო პროცესს და მოსწავლეთა შედეგების დინამიკას სემესტრულად. დაკვირვების/მონიტორინგის შედეგად მიღებული შედეგების გამოყენება ხდება სასკოლო საზოგადოების მხარდასაჭერად. მასწავლებლების შემთხვევაში ეს გამოიხატება გამოცდილების გაზიარების, სასწავლო ჯგუფებში მუშაობის და ტრენინგებსა და ვებინარებში მონაწილეობის (გამოვლენილი საჭიროებიდან გამომდინარე) მხარდაჭერაში დირექციის მხრიდან, მოსწავლეების შემთხვევაში ეს არის რემედიაციის პროგრამა და დიფერენცირებული სწავლება. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. ამჟამად ეს მხარდაჭერა მასწავლებელთა შორის მიმდინარეობს დაკვირვებით მიღებული უკუკავშირების საფუძველზე. ასევე მნიშვნელოვანი როლი აქვს მშობელთა უკუკაშირების ანალიზს. მომავალი წლისთვის კურიკულუმის მეთოდოლოგიაში შეტანილი მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩო დოკუმენტის ანალიზის საფუძველზე გამოტანილი დასკვნებით ხელს შეუწყობენ სასკოლო საზოგადოების მეტად დახმარებასა და მხარდაჭერას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესში დგინდება სწავლის პროცესში არსებული ხარვეზები, პედაგოგიურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემები, სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები. შეფასების პროცესის სწორი წარმართვა განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გამოიყენება ერთის მხრივ როგორც პრობლემი გადაჭრის, და მეორეს მხრივ როგორც რეკომენდაციების პაკეტის შემუშავების საშუალება, რომელიც გამოყენებული იქნება ახალ სასწავლო წელს უკეთესი სასწავლო შედეგების მისაღებად. დირექციის წარმომადგენლები ყველა სტატუსის მქონე მასწავლებელს ესწრებიან კანონმდებლობით განსაზღვრული წესით და ადგენენ მათ საჭიროებას, აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს, ეხმარებიან სირთულეების დაძლევაში, რაშიც მათ სკოლაში დამკვიდრებული თანამშრომლობითი კულტურა ეხმარებათ. კათედრები კი მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების შეკრებებზე გეგმავენ გაკვეთილებს, ატარებენ და შემდეგ განიხილავენ შედეგებს და სახავენ განვითარების გზებს. როგორც ჩანს, სკოლაში სასწავლო პროცესზე დაკვირვების სხვადასხვა მიმართულების მიზანი ერთია, მოახდინოს შეფასება, გამოავლინონ საჭიროება და ერთობლივად განსაზღვრონ პრობლემის გადაჭრის გზა. პედაგოგები მზად არიან გაითვალისწინონ რჩევები და სხვათა გამოცდილება მსგავსი ტიპის პრობლემის მოსაგვარებლად. განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში ასახული იქნება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განისაზღვრება ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისთვის, რაც ასახული იქნება მომავალი წლის კურიკულუმში ცვლილებების სახით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრების ოქმები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

წარმოდგენილი კურიკულუმი ეყრდნობა განხორციელებული პროექტებისა და აქტივობების რეფლექსიებს, კათედრათა წლიური მუშაობის ანალიზებს. შეფასების პროცესის ეფექტურობისათვის საშუალო საფეხურის კურიკულუმი ეყრდნობა ისეთ წყაროებს, როგორიცაა: მასწავლებელთა და მოსწავლეთა თვითშეფასებები, ურთიერთშეფასებები, მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი. მომავალში ასევე კომპლექსურ დავალებათა პირობებში წინასწარ გაწერილი შეფასების კრიტერიუმები დაეხმარებათ სოლო ტაქსონომიაზე დაყრდნობით გააანალიზონ მოსწავლეთა მიერ შესრულებული სამუშაოები. მომავალი სასწავლო წლისათვის იგეგმება ანალიზისთვის საჭირო მექანიზმის შემუშავება, კომპლექსური დავალებების სოლო ტაქსონომიით შეფასება, რაც სასწავლო პროცესის წინსვლისა დ განვითარების მთლიან სურათს თვალსაჩინოს გახდის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

წარმოდგენილი კურიკულუმები მოიაზრებს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე დაკვირვებასა და შეფასებას. ამისათვის გასათვალისწინებელია მრავალი კონტექსტი, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური მიმართულებით განხორციელებული აქტივობების შეფასება. კათედრაზე შეხვედრისას მასწავლებლებმა ისაუბრეს იმაზე, რომ ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად გამოყენებისკენ. მათ ამით იხელმძღვანელეს კურიკულუმების შედგენის პროცესში და განსაზღვრეს კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები, შეიმუშავეს შეფასების რუბრიკები. ახალ კურიკულუმში დიფერენცირებული მიდგომების დამკვიდრებასთან ერთად იგეგმება შეფასების რუბრიკების მისადაგება სწავლების აღნიშნულ მეთოდთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

მასწავლებლებთან გასაუბრებებისას მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ შეფასებისთვის გამოიყენებენ როგორც განმსაზღვრელ ასევე განმავითარებელ შეფასებას, რაც დასტურდება სკოლის მიერ მოწოდებული მომავალი წლის განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუნრიკებით, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი, რომ მოსწავლეები შეფასდებიან გრძელვადიან მიზნებზე ცნებებზე, შედეგებზე დაყრდნობით, ასევე სკოლის მიერ მოწოდებულ კურიკულუმებში ასახული შუალედური(საკითხები, თემები, კომპლექსური დავალების იდეა) და გრძელვადიანი(ცნებები, შედეგები) მიზნებიდან და კურიკულუმებში ასახული სკოლის მიერ მოწოდებული კომპლექსური დავალებების სრული(ინსტრუქციით) ნიმუშებიდან გამომდინარე (სადაც ასევე

მკაფიოდ არის გამოკვეთილი თუ რის მიხედვით უნდა შეფასდეს მოსწავლე განმავითარებელი შეფასებით) ვფიქრობ, რომ მომავალ სასწავლო წელს შეფასებისას გამოყენებული იქნება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

მასწავლებლებთან გასაუბრებებისას მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ შეფასებისთვის გამოიყენებენ როგორც განმსაზღვრელ ასევე განმავითარებელ შეფასებას, რაც დასტურდება სკოლის მიერ მოწოდებული მომავალი წლის განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუნრიკებით, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი, რომ მოსწავლეები შეფასდებიან გრძელვადიან მიზნებზე ცნებებზე, შედეგებზე დაყრდნობით, ასევე სკოლის მიერ მოწოდებულ კურიკულუმებში ასახული შუალედური(საკითხები, თემები, კომპლექსური დავალების იდეა) და გრძელვადიანი(ცნებები, შედეგები) მიზნებიდან და კურიკულუმებში ასახული სკოლის მიერ მოწოდებული კომპლექსური დავალებების სრული(ინსტრუქციით) ნიმუშებიდან გამომდინარე (სადაც ასევე მკაფიოდ არის გამოკვეთილი თუ რის მიხედვით უნდა შეფასდეს მოსწავლე განმავითარებელი შეფასებით) შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მომავალ სასწავლო წელს შეფასება განხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

…დასტურდება (მტკიცებულებები):

- *კურიკულუმები.*
-

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

სკოლის მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმიდან გამომდინარე კურიკულუმის განვითარებას მუდიმავად ახდენენ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. თუმცა ამ მხრივ მნიშვნელოვანია სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტის გამოყენება, რის საფუძველზეც მოხდეს კურკულუმში ცვლილებების შეტანა მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. ასევე მიმდინარე წლის კურკულუმიდან გამომდინარე გამოკვეთილი საჭიროებები აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ახალი სასწავლო წლის ფარგლებში კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რაზე მუშაობაც პედაგოგებს უკვე დაწყებული აქვთ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე; გასაუბრების შედეგებიდან გამოიკვეთა, რომ ახალი სასწავლო წლისთვის იგეგმება კურკულუმის რევიზია/განახლება მათ შორის უკვე შექმნილი კურკულუმის ჩარჩოების, რომელშიც გათვალისწინებული იქნება წინარე გამოცდილება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

…დასტურდება (მტკიცებულებები):

- *გადამუშავებული კურიკულუმი.*
- *სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

გელა მაჭარაშვილი
ს.ს.ი.პ. ქალაქ ტყიბულის მუნიციპალიტეტის N7 საჯარო სკოლის
ავტორიზაციის ჯგუფის თავმჯდომარე
ხელმოწერები: